# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№14-15 (9846-47) 2025 წლის 5 თებერვალი, ოთხშაბათი.

ფასი 1,5 ლარი


## მამუკა მამულაშვილი სლოვაკეთს დაამხობს თუ საკუთარ მამულს?!

სლოვაკეთი „ქართული ლეგიონის“ მეთაურს მამუკა მამულაშვილს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ადანაშაულებს! მას ქვეყანაში შესვლა აუკრძალეს!




5

## გვიმრავლოს!



მაია მიქაია

7

### შრომის უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და ის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს!

## შალვა პაპუაშვილი:

## აბსოლუტურად მიუღებელი დათქმებით ჩვენ ვერ ვიმუშავებთ!

3




4

## „დიფ სთეითი“, „ნედი“ – ეს იყო უდიდესი ბოროტება!

## გაიცანით: ევროპელი გლობალისტები, ატლანტისტები, დენიალისტები და პუტინისტები

12




გამოვიდა მწერალ გური ოტობაიას წიგნი „სინერგია პლანეტარული სიცოცხლისათვის“. ესეისტური ხასიათის ეს ნაწარმოები, ფაქტობრივად, ახალი სიტყვაა ქართულ ლიტერატურაში, იმდენად, რამდენადაც მასში ხელოვნურ ინტელექტთან დიალოგის ფორმით არის განხილული კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი პრობლემები.

8–9

## საპარლამენტო ქვეყანაში დღევანდელი პარლამენტი სუვერენული, უდრეკი, სამართლიანი საქართველოს სახე უნდა იყოს!

2



ჩვენი წინაპრების გამოცდილებამ გვასწავლა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს შეუპოვრობასა და უსამართლობასთან ბრძოლას; უფლის, სამშობლოსა და საკუთარი თავის რწმენას. ჩვენი პატარა, თუმცა ამაყი ერი სწორედ ამ პრინციპების დაცვამ გადაარჩინა და მოიყვანა დღემდე, თანაც ისე, რომ შეინარჩუნა საკუთარი ენა, დამწერლობა, კულტურა, სარწმუნოება, ადათ-წესები და იდენტობა, მაშინ როდესაც, საქართველოს დამპყრობელი არაერთი უძლიერესი ერი დაინგრა და განადგურდა – მიხეილ ყაველაშვილი



# საპარლამენტო ქვეყანაში დღევანდელი პარლამენტი სუვერენული, უდრეკი, სამართლიანი საქართველოს სახე უნდა იყოს!

## XI მოწვევის პარლამენტის საგაზაფხულო სესია გუშინ გაიხსნა.

**სესია გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა.**
**შესრულდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.**
**საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მოისმინეს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ ყაველაშვილის ყოველწლიური მოხსენება ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.**



## მთავარი ციტატები საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლიდან

**სწორედ** 26 ოქტომბრის არჩევნები იყო ნათელი დადასტურება იმისა, თუ სად დგას ქართველი ხალხი, რას იცავს და რას ნიშნავს მისთვის საქართველო.

ამ დღეს ქართველმა საზოგადოებამ აირჩია მშვიდობა და განვითარება; ტრადიციების, ღირებულებების, სარწმუნოების, ოჯახისა და ღირსების დაცვა, უარი უთხრა ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიას, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენს იდენტობასა და თვითმყოფადობას. სურთ თუ არა ქვეყნის შიგნით და გარეთ მყოფ საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალებს, მოუწევთ, მიიღონ ქართველი ხალხის უმრავლესობის არჩევანი და პატივი სცენ მას.

8 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის წევრობამ დიდი პოლიტიკური გამოცდილება შემძინა. ახალი წესით ჩატარებული პრეზიდენტის არჩევნების შემდგომ საქართველო გახდა სრულფასოვანი საპარლამენტო რესპუბლიკა, რომლის ფარგლებშიც კონსტიტუციით მონიჭებული უფლებამოსილებით, თითოეული ინსტიტუტის წარმომადგენელმა, მჭიდრო კოორდინაციითა და თანამშრომლობით, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. განსაკუთრებული წარმატება მინდა ვუსურვო მე-11 მოწვევის პარლამენტს. დარწმუნებული ვარ, მომავალი 4 წლის განმავლობაში ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ. მჯერა, რომ ეს იქნება ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გაძლიერების 4 წელი.

ჩვენი სამშობლო და ქართველი ხალხი დღეს სახელმწიფოებრიობის გამოცდის მნიშვნელოვან ეტაპს გადის. მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, მდიდარი ისტორია, კულტურა, ქართველი ერის ღირსება და მტკიცე ხასიათი ის ფუნდამენტური ღირებულებებია, რომელიც საქართველოს წინ ანთებული ლამპარივით მიუძღვის ამ რთულ და სახიფათო გზაზე.

* * *

**ჩვენი წინაპრების გამოცდილებამ გვასწავლა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს შეუპოვრობასა და უსამართლობასთან ბრძოლას; უფლის, სამშობლოსა და საკუთარი თავის რწმენას. ჩვენი პატარა, თუმცა ამაყი ერი სწორედ ამ პრინციპების დაცვამ გადაარჩინა და მოიყვანა დღემდე, თანაც ისე, რომ შეინარჩუნა საკუთარი ენა, დამწერლობა, კულტურა, სარწმუნოება, ადათწესები და იდენტობა, მაშინ როდესაც, საქართველოს დამპყრობელი არაერთი უძლიერესი ერი დაინგრა და განადგურდა. ამის გათვალისწინებით, ჩვენ, ქართველებმა, ზუსტად ვიცით, რა პრინციპებისა და ღირებულებების დაცვა გვევალება, რას უნდა მოვუფრთხილდეთ და საბოლოოდ როგორი საქართველო ავაშენოთ. საბედნიეროდ, ამ რთულ პერიოდში ჩვენი სახელმწიფო და ქართველი ხალხი ერთსულოვანია და ერთად დგას საკუთარი ქვეყნის სადარაჯოზე. განსხვავებულობის მიუხედავად, ერთმანეთის გვერდში დგომით, მტკიცედ იცავს საკუთარ სამშობლოს, როგორც ერთიან, დიდ ოჯახს, რომელსაც საქართველო ჰქვია.**

ჩვენი მთავარი პრინციპი, რითაც ვიხელმძღვანელეთ შეწყალებისას, იყო ბალანსის დაცვა ჰუმანურობასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას შორის, მაქსიმალური სიფრთხილით მოვეკიდეთ ამ საკითხს და სწორედ ასე გაგრძელდება მომავალშიც, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლისას განაცხადა.

ჩემთვის გაუგებარია გარკვეული ჯგუფების მხრიდან ატეხილი აჟიოტაჟი. არ მესმის, როგორ შეიძლება, არ გიხაროდეს, რომ ადამიანებს ეძლევათ შესაძლებლობა, დაუბრუნდნენ საკუთარ შვილებს, მეუღლეებს, მშობლებს და მეგობრებს. ჩვენ შემჭიდროებულ ვადებში აქტიურად ვიმუშავეთ არაერთ უწყებასთან, იმისთვის, რომ ადამიანებს მალე შესძლებოდათ საკუთარ ოჯახებში დაბრუნება. მადლობას ვუხდი ამ პროცესში ჩართული თითოეული უწყების ხელმძღვანელს და წარმომადგენელს.

* * *

**ხაზგასასმელია,** რომ ქვეყნის გადარჩენაში მთავარი როლი სწორედ ქართველმა ხალხმა ითამაშა, ყველა კრიტიკულ მომენტში გვერდით გადადო ემოციები და განსაკუთრებული სიფრთხილით, სიბრძნითა და პატრიოტიზმით მიიღო გადაწყვეტილებები; გვერდით დაუდგა სახელმწიფოს და თავიდან აგვარიდა საქართველოს განადგურება. სწორედ ამიტომ ქართველი ხალხის ნება, ჩვენი სახელმწიფოებრიობა და ეროვნული ღირებულებები არის საქართველოს არაკეთილმოსურნეების მთავარი სამიზნე, რადგან იციან, რომ ჩვენი ქვეყნის სიმტკიცე სწორედ ამაზე დგას.

შესაბამისად, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ინტერესებით მოქმედება და საბოლოოდ გავიყვანოთ ჩვენი ქვეყანა სამშვიდობოს. ამ პერიოდში ქართველმა ხალხმა რეალურად იგრძნო, რას ნიშნავს ქვეყანაზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა, რამდენად მნიშვნელოვანია, თითოეული მოქალაქე იცავდეს და უფრთხილდებოდეს თავის წილ საქართველოს, ამაყობდეს საკუთარი ქვეყნით და იდგეს სამშობლოს სამსახურში. ამ პროცესების გააზრება გვარწმუნებს, რომ სამშობლოზე ზრუნვა, მოფრთხილება საჭიროებს მუდმივ, უწყვეტ პროცესს ქართველი საზოგადოების მხრიდან, რომელიც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. დარწმუნებული ვარ, წინ გველის უფრო დიდი აღმავლობის, გაძლიერებისა და გაერთიანების პერიოდი. იმისთვის, რომ ამ მიზანს მივაღწიოთ, კვლავ გვჭირდება სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის ერთობა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა განადგურებას გადაარჩინა.

ერთმნიშვნელოვანია, რომ ჰუმანური აქტი კარგია, თუმცა ჩვენ მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა ვიყოთ დანაშაულის პრევენციაზე. სწორედ ამიტომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტის პოპულარიზაცია. უნდა გავზარდოთ განათლების სისტემის როლი ახალგაზრდების განვითარებაში, ვიზრუნოთ სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებაზე. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა ასევე იქნება ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. ამ ყველაფერს მთლიანობაში პრევენციული ხასიათი ექნება და უზრუნველყოფს რომ, რაც შეიძლება დაბალი იყოს დანაშაულში ჩართულობის რისკები ჩვენს საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში..

ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ გააერთიანა სპორტულმა მიღწევებმა და წარმატებებმა ჩვენი საზოგადოება, რამდენად სიყვარულით სავსე იყო ქართველი ხალხი ყოველი გამარჯვების დროს. ჩვენ გვყავს ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები, რომლებიც ამის მონაწილე არიან, ყველა გაგვახარეს და კიდევ ერთხელ ამ ბიჭებს დიდი მადლობა იმისთვის, რომ გაახარეს ჩვენი ერი.

ასევე, უდიდესია კულტურის სფეროს როლი, რომელიც სიამაყით ავსებს თითოეულ ქართველს და აერთიანებს საერთო ისტორიის, კულტურისა და იდენტობის გარშემო. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ საზოგადოებაში ხელოვნური პოლარიზაციის ფონზე სპორტმა და კულტურამ განსაკუთრებული გამაერთიანებლის როლი უნდა ითამაშოს. მე ვაპირებ, წარმატებულ, ჩვენთვის საყვარელ სპორტსმენებსა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, არაერთი საინტერესო იდეის განხორციელებას, რომელსაც საზოგადოებას ახლო მომავალში გავაცნობ.

ჩვენ ისედაც პატარა ერი ვართ და არაერთი გამოწვევის წინაშე ვდგავართ, ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ იზრუნოს ოჯახების გაძლიერებაზე.

* * *

**ძალიან მნიშვნელოვანია, ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს დემოგრაფიული საკითხები. ჩვენ ისედაც პატარა ერი ვართ და არაერთი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ იზრუნოს ოჯახების გაძლიერებაზე, იმ პირობების უზრუნველყოფაზე, რომელსაც პოზიტიური ეფექტი ექნება დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. მიმაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩვენი მხრიდან, გვჭირდება საფუძვლიანი კვლევა და შესაბამისი სტრატეგიის განსაზღვრა უწყებათაშორისი კოორდინაციის საფუძველზე. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო საპატრიარქოს და უშუალოდ პატრიარქს იმ უდიდესი ღვაწლისთვის, რასაც მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებს ჩვენი ერის გადასარჩენად და გასამრავლებლად. დარწმუნებული ვარ, აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საპატრიარქოს როლი კვლავ უდიდესი იქნება.**

4.II.2025

# შალვა პაპუაშვილი:
# აბსოლუტურად მიუღებელი დათქმებით ჩვენ ვერ ვიმუშავებთ!



## იმედი გვაქვს, რომ „დიფ სთეითის“ წინააღმდეგ ნათქვამი სიტყვა აისახება კონკრეტულ საქმედ საქართველოში

**სამწუხაროდ, ის პოლიტიკა, რომელიც გამოცხადდა და ასე დინამიკურად მიმდინარეობს აღმასრულებელი განკარგულებების სახით ვაშინგტონში, არ აისახება საქართველოზე, – ამის შესახებ სინანულით ამბობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი.**

პარლამენტის თავმჯდომარემ უპასუხა კითხვას, აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პირობებში რჩება თუ არა საქართველოში „დიფ სთეითის“ გავლენა და აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ამერიკის ახალი პოლიტიკა საქართველოში არსებულ ვითარებაზე არ ასახულა.

მეტიც, მისი თქმით, ბოლო პერიოდში, რადიკალური ოპოზიციისა თუ მისი მოკავშირე არასამთავრობოების მხრიდან, ვითარების გამწვავების მცდელობა შეინიშნება. პაპუაშვილის განცხადებით, იმედია, რომ „დიფ სთეითის“ წინააღმდეგ ნათქვამი სიტყვა საქართველოში საქმედ აისახება.

„ბოლო პერიოდში ვხედავთ პირიქით, გამწვავებას, გამწვავების მცდელობას, რადიკალური ოპოზიციის და მათი მოკავშირე რადიკალური ენჯეოების მხრიდან, რომელთა დაფინანსების წყაროც, საბოლოო ჯამში, ზუსტად მიდის აშშ-ის ბიუჯეტამდე და ჩვენ ჯერჯერობით ამ პოლიტიკის ასახვას ადგილზე ვერ ვხედავთ. იმედი გვაქვს, დავინახავთ ამის სიგნალებს როგორც დონორების, ისე აშშ-ის საელჩოს თუ ამერიკის სხვა წარმომადგენლების მხრიდან საქართველოში. რაც შეეხება თავად პოლიტიკას, რომელიც წარმოებს, ჩვენ გვიხარია, რომ ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით, ის პოლიტიკა და მიდგომები რაც ჩვენ გვქონდა უცხოურ დაფინანსებასთან დაკავშირებით, ერთი-ერთში არის ასახული პრეზიდენტ ტრამპის პოლიტიკაში, მათ შორის, მის აღმასრულებელ განკარგულებაში, რომელმაც საფუძველი ჩაუდო საერთაშორისო დახმარების გადახედვას.

იქ პირდაპირ საფუძვლად არის მოტანილი, რომ აშშ-ის ბიუჯეტის დაფინანსებით ხდებოდა სხვა ქვეყნებში უცხო იდეოლოგიების თავს მოხვევა, დესტაბილიზაციის შეტანა, ჰარმონიული განვითარებისთვის ხელის შეშლა, რაზეც ჩვენ ამდენი ხანი ვსაუბრობდით და ამაზე ჰქონდათ მწვავე რეაქცია სხვადასხვა წარმომადგენლებს. ასე რომ, ჩვენ კვლავ მოლოდინში ვართ – კარგი არის ის სიტყვა, რომელიც ჩვენ გავიგეთ, ახლა გვაინტერესებს, საქმე როგორ განხორციელდება საქართველოში. ჯერჯერობით ვხედავთ პირიქით, უფრო გამწვავებას იმ ტაქტიკებისა, რომელიც აქამდეც ჰქონდათ ოპოზიციას და მის მოკავშირე ენჯეოების ხელისუფლების წინააღმდეგ არადემოკრატიული ქცევისა.

**ვნახოთ, ტაქტიკებს ვაკვირდებით და იმედი გვაქვს, რომ „დიფ სთეითის“ წინააღმდეგ ნათქვამი სიტყვა აისახება საქმედ საქართველოში.“** – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

იცით, პოლონეთში საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიაში იუსტიციის ყოფილი მინისტრი არ გამოცხადდა, ის დააპატიმრეს და მიიყვანეს საგამოძიებო კომისიაში. ამ კომისიას აქვს განსაკუთრებული უფლებამოსილებები, მათ შორის სისხლის სამართლებრივი კოდექსით დაცული არის მისი უფლებამოსილება. ამიტომ ყველა ვალდებულია, ითანამშრომლოს კომისიასთან, მისცეს ჩვენება.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ის პირები, რომლებიც დაბარებულები იქნებიან კომისიაზე, მოვლენ და მისცემენ ჩვენებას. თუ არაფერი აქვთ დასამალი და ფიქრობენ, რომ დანაშაული არ აქვთ ჩადენილი, რატომ არ უნდა უნდოდეთ, საჯაროდ უპასუხონ იმ კითხვებს, რომლებიც დღემდე პასუხგაუცემელია იმის გამო, რომ წლების განმავლობაში, განსაკუთრებით 2012 წლის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ უცხოელმა მფარველებმა ხელი შეუშალეს სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულების სრულად გამოძიებას. მას მისცეს არა მხოლოდ თავშესაფარი, არამედ დააწინაურეს უკრაინის ხელისუფლებაში და ვნახეთ, რა დაატრიალა. მაქვს მოლოდინი, რომ ყველა ითანამშრომლებს და შესაბამის ჩვენებებს მისცემს“...

**ჩვენი დელეგაციის ინტენსიური მუშაობის შედეგად ჩავარდა მცდელობა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში არ ეღიარებინათ საქართველოს პარლამენტის დელეგაციის მანდატები და ამით, გარკვეულწილად, ჩრდილი მიეყენებინათ თითქოს საპარლამენტო არჩევნებისადმი!**

**აბსოლუტურად მიუღებელია რეზოლუცია, რომელშიც ჩაიწერა დათქმები და ასეთ პირობებში საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ვერ იმუშავებდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში.**

**„მინდა, შევეხო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში დელეგაციის მონაწილეობას, მადლობა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის დელეგაციას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში. სამწუხაროა ის რეზოლუცია, რომელიც მიიღო საპარლამენტო ასამბლეამ. ამავე დროს, ხაზგასასმელია მცდელობა, რომ არ ეღიარებინათ დელეგაციის მანდატები და ამით, გარკვეულწილად, ჩრდილი მიეყენებინათ თითქოს საპარლამენტო არჩევნებისადმი. ამიტომაც მინდა, მადლობა გადავუხადო დელეგაციას და მის ხელმძღვანელს, ქალბატონ თეა წულუკიანს. ეს მცდელობა ჩაუვარდა ოპოზიციას, მის მხარდამჭერ და გვერდში მდგომ ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, მათ შორის ზოგიერთ უცხოურ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებიც ჰარმონიულად და ორკესტრირებულად მუშაობდნენ ქართველი ხალხის და საქართველოს წინააღმდეგ. ეს მცდელობა ჩავარდა ჩვენი დელეგაციის ძალიან ინტენსიური მუშაობის შედეგად და დელეგაციის უფლებამოსილება იქნა ცნობილი საპარლამენტო ასამბლეის მხრიდან, თუმცა ის რეზოლუცია, რომელშიც ჩაიწერა დათქმები, არის აბსოლუტურად მიუღებელი. ამაზე დელეგაციამაც გააკეთა განცხადება, მეც მქონდა განცხადება, რომ ასეთ პირობებში ჩვენ ვერ ვიმუშავებთ ასამბლეის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ საპარლამენტო ასამბლეა დაუბრუნდეს თავის ფუნდამენტურ ღირებულებებს, რაც დემოკრატიისა და ხალხის ნების პატივისცემაზეა დამყარებული. თუკი პატივი არ ვეცით ერთმანეთის სუვერენიტეტს, პატივი არ ვეცით ხალხის ნებას, რომელიც არჩევნებში გამოიხატება, მაშინ, რა თქმა უნდა, რთულია, ვისაუბროთ საერთაშორისო თანამშრომლობის იმ პრინციპებზე, რომლებზეც დამყარებულია თანამედროვე სამყარო“!**

**3.II.2025.**



## დონალდ ტრამპი:
## USAID-ს რადიკალი შეშლილები მართავდნენ

**დონალდ ტრამპმა აღნიშნა, რომ ვიდრე USAID-ის მომავალზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მისი ადმინისტრაცია სააგენტოდან „შეშლილებს“ გაათავისუფლებს.**

მისივე თქმით, კონკრეტულ გადაწყვეტილებას საერთაშორისო სააგენტოსთან დაკავშირებით ისინი ხელმძღვანელობის ჩამოშორების შემდეგ მიიღებენ.

შეგახსენებთ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ვებგვერდი უკვე გაითიშა.

## ამერიკას უკრაინის იშვიათ წიაღისეულზე წვდომა ნამეტნავად აგულისყურებს!..

**ვაშინგტონი კიევის მხარდაჭერას იმ შემთხვევაში გააგრძელებს, თუ უკრაინა შეერთებულ შტატებს ქვეყანაში არსებულ იშვიათ წიაღისეულზე წვდომას მისცემს. საუბარია იშვიათ მინერალებზე. განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თეთრ სახლში გააკეთა.**

**მედია წერს, რომ უკრაინას ურანის, ლითიუმის და ტიტანის უდიდესი რეზერვები აქვს.**

ჩვენ ვსაუბრობთ უკრაინის შესახებ, მათ ძალიან იშვიათი მინერალების მარაგი აქვთ. ჩვენ გვსურს, რომ ის, რაც მივეცით გარანტიის სახით, დავიბრუნოთ. გარანტიები გვჭირდება. ფულს ხელში ვაძლევთ, ასევე, აღჭურვილობასაც. ევროპელები აქ ვერ გვეწევიან, ეს უნდა გამოასწორონ. ჩვენ შორის ოკეანეა და ისინი ვერ გვითანაბრდებიან. მათთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენთვის. ისინი იმდენს მაინც უნდა იხდიდნენ, რამდენსაც ჩვენ. ჩვენზე მეტსაც კი უნდა იხდიდნენ, თუმცა ეს მილიარდობით დოლარით ნაკლებია, ამიტომაც უკრაინასთან გარიგების დადება გვინდა, იმის უზრუნველსაყოფად, რასაც ვაძლევთ. მათ ეს საკუთარი მინერალების მარაგით და სხვა რამით უნდა აანაზღაურონ“, – აღნიშნა დონალდ ტრამპმა.

## ოლაფ შოლცი:
## ეს იქნებოდა ძალიან ეგოისტური!



**გერმანიის კანცლერმა გააკრიტიკა დონალდ ტრამპის მოთხოვნა, რომელშიც შტატების პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი გააგრძელებს უკრაინის ფინანსურ დახმარებას, თუ უკრაინა შეერთებულ შტატებს იშვიათ მინერალებზე წვდომას მისცემს.**

ოლაფ შოლცმა განცხადება ბრიუსელში, ევროკავშირის ლიდერების არაფორმალური შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან გააკეთა.

ეს იქნებოდა ძალიან ეგოისტური, ძალიან ეგოცენტრული. უკეთესი იქნება ასეთი რესურსების ომის შემდეგ ქვეყნის აღდგენისთვის გამოყენება, – აღნიშნა გერმანიის კანცლერმა.

## რა ხაზით შემოდიოდა USAID-დან საქართველოში ფული, მათ შორის ლგბტ თემის დაფინანსების ხაზით?!

**საჯარო პოლიტიკის სპეციალისტი და ანალიტიკოსი გურამ ნიკოლაშვილი USAID-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება და სოციალურ ქსელში აქვეყნებს დოკუმენტებს, რომლითაც მისი განმარტებით, კარგად ჩანს, რა ხაზით შემოდიოდა ორგანიზაციიდან საქართველოში წამოსული ფული. მათ შორის ერთ-ერთია ლგბტ თემის დაფინანსების ხაზი.**



„USAID დახურვის თუ რეორგანიზაციის ფარგლებში ამერიკაში ილონ მასკის ბელადობით მთელი კამპანიაა გაჩაღებული.

მიდის დეკლარაციების და საგრანტო დოკუმენტაციის ფრიალი.

ბევრგან შემხვდა საქართველოზე დასქრინული 26-მილიონიანი ჩანაწერის პოსტი არასრული სახით“, – წერს გურამ ნიკოლაშვილი და პოსტს ე.წ. „სქრინებს“ ურთავს.

# „დიფ სთეითი“, „ნედი“- ეს იყო უდიდესი ბოროტება!



**როდესაც ჩვენ პირველად გამჭვირვალობის კანონზე დავიწყეთ საუბარი და დაინიცირდა უმრავლესობის რიგებიდან, მაშინ, როგორც გარედან, ასევე ჩვენი ოპოზიციის მხრიდან შანტაჟის და ზეწოლის რა მასშტაბი იყო, ყველას ახსოვს, პირველ წელს ვერც კი შევძელით ამის გატანა.** ეს არის ფაქტი. ამაზე არგუმენტი იყო, მეგობრები რომ გეხმარებიან, როგორ კადრულობთ ამას, ამიტომ არის რუსული მიდგომაო. დღეს აშშ-ის ლიდერები, პირველი პირი, ტრამპი საუბრობს იმ დიდი ბოროტებაზე, რომელიც USAID-ის და „ნედის“ მხრიდან მოდიოდა. ჩვენ ამერიკულ ფულს ბოროტებას არ ვუწოდებდით. დღეს ამერიკელი ხალხის სახელით პრეზიდენტი ტრამპი და მისი თანაგუნდელები საუბრობენ, რომ ეს იყო უდიდესი ბოროტება. მასკის მიერ გავრცელებულ ვიდეოკოლაჟში ჩანს საქართველოს მოვლენებიც, რაც პირდაპირი მტკიცებულებაა. ჩვენ რაც არ გვილაპარაკია, ისიც კი აშშ-დან წამოვიდა. USAID-ის და „ნედის“ არაერთი მილიონი ხმარდებოდა ამ ქვეყანაში ხალხის ნების უგულებელყოფას და გარედან დალაგებული რევოლუციის უზრუნველყოფას. დღეს ალბათ კიდევ მეტად შეგვიძლია, დავაფასოთ ერთმანეთის ღვაწლი საკუთარი სამშობლოს წინაშე, თურმე, როგორ მაგრად დამდგარა საქართველო და შესაბამისად მისი არჩეული ხელისუფლება, რისთვის გაგვიძლია, რა გადაგვიტანია!

**ახლა** შეფასებაც და დაფასებაც უფრო ადვილია, მაგრამ საქართველოში კვლავ რჩება 400-კაციანი კარგად დატრენინგებული აგენტურა, რომელიც ამ აქციების ძირითადი ბირთვია, რომელიც ოთხ მილიონ ადამიანს მკაცრად ულახავს საკუთარ უფლებებს. ოთხი მილიონი ადამიანის იძულებას ახდენს მდაბიო, უკვე ნანახი ფეიკკამპანიებით, რომ მოაქციოს ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ.

**საბედნიეროდ, ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ გვაქვს დამოუკიდებლობის ის ხარისხი, რაც ბოლო ათწლეულების ისტორიაში საქართველოს არასდროს ჰქონია. ეს ჩვენი, ქართველი ხალხის და მისი სიბრძნის დამსახურებაა. ისინი გაერკვნენ და წამოგვყვნენ ამ სწორ პოლიტიკაში, კვლავ აგვირჩიეს. სხვა შემთხვევაში, ტრამპი, მასკი და სხვები ილაპარაკებდნენ წარსულზე, როგორ მოახერხა „დიფ სთეითმა“, იმ ბოროტებამ, რომელიც მათი მხრიდან დაფინანსებული ფულით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი საქართველოში, რევოლუციის მოხდენა, როგორ ჩაერთო საქართველო იმ მომაკვდინებელ ომში, რომელმაც საქართველო უკვე პრაქტიკულად გაანადგურა. საბედნიეროდ, ეს ფაქტი არ მოხდა, რადგან ჩვენ ამას წინ აღვუდექით!!!**

**რაც** არანაკლებ მნიშვნელოვანია, საუბედუროდ, ჯერჯერობით არ ჩანს ნიშნები, ყოველ შემთხვევაში, საქართველოსთან მიმართებაში, „დიფ სთეითის“ შესუსტების და დამარცხების. განცხადებების დონეზე კი ბატონო, მაგრამ „დიფ სთეითის“ შესუსტების ნიშნები არ ჩანს, რადგან კვლავ არის აქტიური მცდელობა, ჩამოიშალოს სახელმწიფო ინსტიტუტები და სისტემა საქართველოში, რათა ვიღაცამ იქით დაამუნათოს საკუთარი ხალხის ხელისუფლება, ქართველი ხალხი და ა.შ. თუ როგორ შეიცვალა საქართველოში ხელისუფლება და როგორ ჩაერთო რუსეთის წინააღმდეგ ომში საქართველო. ამის აქტიური მცდელობები რადგან კვლავ არის სახეზე, ეს იმას ნიშნავს, რომ „დიფ სთეითი“ თავისი სრული სიძლიერით კვლავ ახორციელებს მართვას საკუთარი აგენტურისა საქართველოში, მათ უკან ნაბიჯი არ გადაუდგამთ. კვლავ იგივე ძალებით მიმდინარეობს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იმ ქვეყნის ხელმძღვანელობა, ლიდერები განცხადებებით აშკარად და ღიად უპირისპირდებიან, თუმცა მათი მოქმედებები კვლავ ძალაშია!!!

მოგეხსენებათ, რომ დღეს საქართველოში კვლავ გრძელდება, „დიფ სთეითის“ აგენტების მიერ ხელისუფლების ცვლილების მცდელობა. მართალია მათ ამ ჯერზეც უსერიოზულესი კრახი განიცადეს, მაგრამ მაინც გვრჩება გამოწვევები. თავიანთი პატრონების დავალებით ისინი კვლავ აგრძელებენ ქვეყნის ჯანჯღარს და საბედნიეროდ მიზანთან ახლოსაც არ არიან!

ამის მიუხედავად მათი ჯაშუშური საქმიანობის და შესაბამისი გარედახმარების შედეგად ქვეყანას შედარებით მცირე, მაგრამ სხვა სახის პრობლემები ექმნება. მაგალითად, გასული წლის დეკემბერში, ნაცვლად 10%-იანი ეკონომიკური ზრდისა, ქვეყანას ჰქონდა 6,5%-იანი ეკონომიკური ზრდა, გაუარესდა ლარის კურსი და შესაბამისად ქვეყანამ და მისმა ეკონომიკამ გარკვეული დარტყმა მაინც მიიღო.

დღევანდელი მოცემულობით ეს უარყოფითი ტენდენცია ეკონომიკური მიმართულებით გასწორდა, მაგრამ სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ქვეყნისა და ხალხის ინტერესების საბოტაჟი, მოგონილი პროპაგანდისტური და მავნებლური არგუმენტებით, „დიფ სთეითის“ აგენტურამ რაც შეიძლება ნაკლებად შეძლოს. უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ხალხისვე და სამშობლოს მსახურება მოახერხოს ხელოვნური დაბრკოლებების გარეშე. ხელოვნურ დაბრკოლებებში ვგულისხმობ, წინა პერიოდებში, სხვადასხვა დროს, ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის და გარეძალების გავლენებით მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რაც პირდაპირ იყო მიმართული სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების ნგრევის და დასუსტებისკენ. წლების განმავლობაში, დეტალების დონეზე, მიზანმიმართულად წარმოებდა ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში, რომ სახელმწიფო და მისი მართვის ბერკეტები მაქსიმალურად ყოფილიყო დასუსტებული. დღეს ჩვენ საბედნიეროდ უკვე გვაქვს დამოუკიდებლობის ის ხარისხი, რომ შევძლოთ ასეთი მავნებლური ნორმების შეცვლა, რაც გააუმჯობესებს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების მიერ ქვეყნის მართვის ბერკეტებს და მეორე მხრივ, გააიოლებს ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკის გაძლიერება/გაჯანსაღებას და ასევე დაიცავს პოლიციელებს, საჯარო მოხელეებს თუ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს ფსევდოლიბერალური ფაშიზმის, ბულინგის და მცირე აგენტურული ჯგუფების მიერ თავსმოხვეული ამაზრზენი თავდასხმებისგან.

...**მკაცრდება** მთელი რიგი რეგულაციები პირველ რიგში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, მათ შორის, მაგალითად, მესაკუთრის წინასწარი თანხმობის გარეშე იკრძალება დახურულ სივრცეში/შენობებში აქციების ჩატარება. წვრილმანი ხულიგნობისათვის, ვანდალიზმისათვის, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მოთხოვნის დაუმორჩილებლობის და მათი შეურაცხყოფისათვის, სასამართლოს შესასვლელების ბლოკირებისათვის და სხვა მსგავსი, ბევრია ასეთი, ადმინისტრაციული კანონდარღვევისთვის ჯარიმები იზრდება და ასევე იზრდება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადაც 60 დღემდე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფა მის საქმიანობასთან დაკავშირებით, რისთვისაც ასევე მკაცრი სანქციები განისაზღვრება.

სისხლის სამართლის კოდექსშიც გვექნება მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც განპირობებულია ფსევდოლიბერალების ფაშისტური ქმედებების პრევენციის მიზნით, რასაც მრავლად ვხედავთ ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში. კერძოდ: ძალადობრივი ქმედებებისკენ საჯაროდ მოწოდება აქამდე ისჯებოდა მხოლოდ ჯარიმით და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. არსებული ცვლილებით ამ ქმედებისათვის განისაზღვრება პატიმრობა, ეს არის უკვე სასჯელზე და არა სახდელზე საუბარი, პატიმრობა სამ წლამდე ვადით.

**ახლა შეფასებაც და დაფასებაც უფრო ადვილია, მაგრამ საქართველოში კვლავ რჩება 400-კაციანი კარგად დატრენინგებული აგენტურა, რომელიც ამ აქციების ძირითადი ბირთვია, რომელიც ოთხ მილიონ ადამიანს მკაცრად ულახავს საკუთარ უფლებებს. ოთხი მილიონი ადამიანის იძულებას ახდენს მდაბიო, უკვე ნანახი ფეიკკამპანიებით, რომ მოაქციოს ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ.**

იზრდება სისხლისსამართლებრივი პატიმრობის ვადა პოლიციელების მიმართ წინააღმდეგობის, მუქარის და ძალადობისთვის და ეს გადავა მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში, 5 წლიდან 6 წლამდე ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

ასევე, მკაცრდება სანქცია პოლიციელზე, ხელისუფლების წარმომადგენელზე და მათი ოჯახის წევრებზე თავდასხმისათვის ჯგუფურობის, არაერთგზისობის, საშიში საშუალებით განხორციელების შემთხვევაში. ეს კონკრეტული გარემოებები თუ გადავა დამამძიმებელ გარემოებებში და ამაზე იქნება, რა თქმა უნდა, შედარებით მკაცრი სანქცია, როგორც დამამძიმებელ გარემოებებზე.

სასჯელი იზრდება პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტზეც.

ეს ახალი ნორმა იქნება, სისხლის სამართლის წესით დაისჯება პოლიტიკური თანამდებობის პირზე, სახელმწიფო მოსამსახურეზე, ასევე საჯარო მოსამსახურეზე თავდასხმის ან ძალადობის მუქარის ჩამდენი პირიც!!!



# მამუკა მამულაშვილი სლოვაკეთს დაამხობს თუ საკუთარ მამულს?!




## სლოვაკეთი „ქართული ლეგიონის“ მეთაურს მამუკა მამულაშვილს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ადანაშაულებს! მას ქვეყანაში შესვლა აუკრძალეს!

**სლოვაკეთის ხელისუფლება უკრაინაში მებრძოლი „ქართულ ლეგიონის“ მეთაურს მამუკა მამულაშვილს ქვეყანაში შესაძლო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ადანაშაულებს და მას სლოვაკეთში შესვლას უკრძალავს. ბრალდებების საპასუხოდ, „ქართულმა ლეგიონმა“ განცხადება გაავრცელა, რომელშიც გადაჭრით უარყო სლოვაკეთის ხელისუფლების „უსაფუძვლო და აბსურდული“ ბრალდებები პრემიერ-მინისტრ რობერტ ფიცოს წინააღმდეგ სავარაუდო სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობის შესახებ.**

ამასთან, სლოვაკეთის მთავრობის მრჩეველი, ევროპარლამენტის წევრი ერიკ კალინიაკი თბილისში „ქართული ოცნების“ მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს მაკა ბოჭორიშვილს და პარტიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ კი ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც თქვა, რომ შეხვედრაზე განიხილეს „საქართველოში მთავრობის გადატრიალების ცოტა ხნის წინანდელი გეგმა“. ის ირწმუნება, რომ საქართველოსა და **სლოვაკეთში საპროტესტო აქციები** უცხოეთიდან ფინანსდება სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით. კალინიაკიმ უკრაინის ომში მებრძოლი „ქართული ლეგიონის“ მეთაური მამუკა მამულაშვილი ახსენა და ფოტო გამოაქვეყნა, რომელზეც მამულაშვილი გამოსახულია სლოვაკეთში ანტისამთავრობო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორთან, ინიციატივის, „მშვიდობა უკრაინის“ წევრ ლუცია შტასელოვასთან ერთად.

რამდენად არის მოსალოდნელი გარკვეული ჯგუფის გააქტიურება საქართველოში იმისათვის, რომ ქვეყანაში რევოლუცია მოხდეს? ანდა, რამდენად არის შესაძლებელი ამ სცენარში მთავარ მოქმედ პერსონაჟად „ქართული ლეგიონი“ მოვიაზროთ?

**ექსპერტი თენგიზ ფხალაძე** For.ge-სთან ინტერვიუში ამბობს, რომ „ქართული ლეგიონი“ საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებს უკრაინულ-რუსულ ფრონტზე, თუმცა არ აქვს ინფორმაცია იმაზე, თუ რა როლს შეიძლება ასრულებდეს საქართველოში. მისი შეფასებით, ერთადერი, ვინც ქვეყანაში საპროტესტო მუხტის აწევას და ვითარების დაძაბვას უწყობს ხელს, თავად „ქართული ოცნებაა“.

**„იმდენად, რამდენადაც ვიცნობ მამუკა მამულაშვილს, ვიცი მისი მებრძოლი ხასიათი, ვიცი, რომ ის არის აქტიურად ჩართული იმ საპასუხისმგებლო სამხედრო ოპერაციებში, რაც დღევანდელ დღეს ხორციელდება უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. სხვა ინფორმაცია, რომ მამუკა მამულაშვილი ან „ქართული ლეგიონი“ უკრაინის გარეთ რაიმე ქმედებაში იყოს, არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ. ვიცი, რომ „ქართული ლეგიონი“ ძალიან საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებს უკრაინულ-რუსულ ფრონტზე.**

**საქართველოში ვხედავთ უპრეცედენტო პროტესტს, თავისი შინაარსით, გეოგრაფიით, რამაც ფართო სოციალური ფენები მოიცვა. პროტესტის მუხტის ყველაზე დიდი კატალიზატორი არის „ქართული ოცნება“, რასაც ის ყოველდღიურად აკეთებს, ყველანაირად ხელს უწყობს, რომ ეს პროტესტი კიდევ უფრო დიდ პროტესტში გადაიზარდოს. „ქართული ოცნება“ ყოველდღიურად ჩადის იმ ტიპის ქმედებებს, რომელიც უკურეაქციას უკურეაქციაზე იწვევს ქართველ საზოგადოებაში და ამ პროტესტის ტალღაში ითრევს უფრო და უფრო მეტ ფენას – ეს დიდი ხანია გასცდა სამოქალაქო საზოგადოებას თუ პოლიტიკურ პარტიებს.**

**„ოცნების“ ნაბიჯები დარტყმის ქვეშ აყენებს იმას, რითაც ამდენი ხნის განმავლობაში შენდებოდა და ვითარდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. „ქართული ოცნების“ არანაირი ქმედება თუ განცხადება არ მაფიქრებინებს, რომ აქვს კონსტრუქციული განწყობები – „ოცნება“ მიდის ვითარების მეტ დაძაბვაზე და ეს კიდევ უფრო საშიშია ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, ეს უფრო მაღლა წევს პროტესტის მუხტს და ტალღას“, – განგვიცხადა თენგიზ ფხალაძემ.**

**ანალიტიკოს ზაალ ანჯაფარიძის** თქმით, ქართველი შენაერთები, რომელიც უკრაინაში იბრძვიან და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წინააღმდეგი არიან, შესაძლოა, რაღაც ფორმით იყვნენ ჩართული იმ აქტივობებში, რასაც ქართული ოპოზიცია მმართველი გუნდის წინააღმდეგ ახორციელებს. მისი აზრით, გაზაფხულისთვის შეიძლება საპროტესტო მუხტი გაიზარდოს და ვითარება მეტად გამწვავდეს.

„პირდაპირი მტკიცებულება, რომ მამუკა მამულაშვილი და რეგიონის წევრები უშუალოდ იყვნენ ჩართული სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში, საჯარო სივრცეში არ მინახავს, მაგრამ მახსოვს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ უკრაინაში მებრძოლი ქართველები მზად იყვნენ, ჩართულიყვნენ ხელისუფლების დამხობის ქმედებებში. რამდენადაც ვიცი, უკრაინაში მებრძოლი მეორე ქართული შენაერთი „კავკასიური ლეგიონი“, ლადო გამსახურდიას ჩართულობით, აქვეყნებდა სოციალურ ქსელში მოწოდებებს, რომ ისინი წინააღმდეგი იყვნენ არსებული ხელისუფლების და მზად იყვნენ რაღაც ნაბიჯები გადაედგათ, რომ ეს ხელისუფლება გადაეყენებინათ, მაგრამ შემდეგ რაღაცნაირად მიჩუმდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ ქართველი მოხალისეების შენაერთი, რომელიც უკრაინაში იბრძვის, არის არსებული ხელისუფლების წინააღმდეგი, შეიძლება დავუშვათ, რომ ისინი რაღაც ფორმით ყოფილიყვნენ ჩართული, არიან ჩართული ან შეიძლება იყვნენ იმ მოქმედებებში, რასაც ადგილობრივი ოპოზიცია განახორციელებს ხელისუფლების წინააღმდეგ.

ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენლის განცხადებები მოვისმინე და მათში იგრძნობოდა აგრესიული ტონალობა – ამბობდნენ, რომ ნებისმიერ ფასად უნდა დაამხონ ეს ხელისუფლება. გარდა ამისა, მიხვდნენ, რომ შედარებით მშვიდობიან პროტესებს, რაც ახლა მიმდინარეობს რუსთაველზე, მათთვის მაინდამაინც დიდი შედეგი ვერ მოაქვს და ხელისუფლებას ეს პროტესტი არ მიაჩნია საკმარის არგუმენტად, რომ საკუთარ პოლიტიკას გადახედოს და ოპოზიციის მოთხოვნებს გამოეხმაუროს. როგორც ჩანს, ოპოზიცია ელოდება, რომ გაზაფხულისთვის ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება და ეს მათ წისქვილზე დაასხამს წყალს. ამიტომ, ვვარაუდობ, რომ გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად, საპროტესტო ტალღის მუხტი უფრო აიწევს. აგრესიული ან მშვიდობიანი ფორმით პროტესტის გამოხატვა ოპოზიციას არსენალში აქვს. ვფიქრობ, ამ პერიოდში გაირკვევა ურთიერთობა საქართველოსა და აშშ-ს ხელისუფლებებს შორის. თუ ეს ურთიერთობა პოზიტიური და ოპტიმისტური სცენარით განვითარდა, შესაძლოა, პროტესტის მონაწილეებისთვის არ იყოს სტიმული იმისათვის, რომ აქციები დაიწყონ“, – განაცხადა ზაალ ანჯაფარიძემ For.ge-სთან.

ნიკო ჩოხელი

# სერბეთისგან განსხვავებით, ჩვენს ხალხს არ უნდა ეს ოპოზიცია!

## პარტიებს საკუთარი ამომრჩეველიც ვერ გამოჰყავთ ქუჩაში

**რადიკალებს სერბეთის სცენარის განმეორება არ გამოუვიდათ. 2 თებერვალს „ნაციონალური მოძრაობის“ და „ახალის“ ლიდერები რამდენიმე ასეულ მხარდამჭერებთან ერთად, დედაქალაქის შემოსასვლელის ჩაკეტვას ცდილობდნენ, რაც პოლიციამ აღკვეთა. წინააღმდეგობის გაწევის გამო, გიგი უგულავა, ნიკა მელია და აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს.**

მედია პოლიტიკის **ექსპერტი ბიორგი ახვლედიანი** for.ge-სთან ინტერვიუში ამბობს, რომ – ოპოზიციას და მის რადიკალურ ენჯეო სექტორს ამერიკიდან დაფინანსება შეუწყდა, თუმცა ბრიუსელიდან მხარდაჭერა ჯერჯერობით კვლავ აქვთ და შესაბამისად, სანამ ტრამპის ახალი პოლიტიკა ევროპამდე მისულა, საქართველოს რყევას განაგრძობენ. თუმცა მათი მიზნები არ გამართლდება, რადგან საქართველოში სერბეთის სცენარის განმეორება რიგი მიზეზების გამო გამორიცხულია.

***– ოპოზიცია, როგორც ჩანს, ცდილობს დარჩენილი დრო გამოიყენოს და 2 თებერვალს დედაქალაქის შემოსასვლელის გადაკეტვის მცდელობა ვნახეთ, რაც უშედეგო აღმოჩნდა. რა ხდება, რას ცდილობს ოპოზიცია?***

– რა თქმა უნდა, ოპოზიცია თავისას ცდილობს და ის დაფინანსება, რაც უკვე აღებული აქვს, უნდა ქვეყნის აყირავებისთვის გამოიყენოს. ვნახეთ, რომ რაღაცა მცდელობები აქვთ და ამას გააგრძელებენ, თუმცა რა გამოსდით, მაგასაც კარგად ვხედავთ. როდესაც ამხელა აქცია იგეგმება, დედაქალაქის მნიშვნელოვანი მაგისტრალების გადაკეტვას აპირებ, რამდენიმე ათასი კაცი ხომ მაინც უნდა გამოიყვანო! მით უმეტეს ამ პროცესს ოპოზიციის ლიდერები ედგნენ სათავეში და ხომ შეეძლოთ საკუთარი პარტაქტივის რაღაცა მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც გამოეყვანათ?! ალბათ, აქაც ის ხალხი წაჰყვა, რომელსაც ყველაზე მეტს უხდიან. ხომ ნათლად ჩანს, რომ ამ აქციების უკან ოპოზიცია და მათი ლიდერები დგანან. რადიკალური ოპოზიცია ნაცმოძრაობის ლიდერების მეშვეობით ქვეყანაში პროცესების არევას რომ ცდილობს, ეს უკვე უცხო არავისთვის არ არის, თუმცა ხალხი არ ჰყოფნით. აბა, სად არის ხალხი, სად იყო მასობრივი პროტესტი?



***– ამ პერიოდის განმავლობაში ოპოზიცია მაინც თავს იკავებდა, რომ ასე, საჯაროდ, საპროტესტო აქციების ლიდერობა და მართვა ხელთ აეღო. იყო მცდელობა, რომ ეს სახალხო პროტესტად წარმოჩენილიყო. ახლა რატომ გადაწყვიტეს ღიად გამოსვლა?***

– ძალიან სწორი შემჩნევაა და აქ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია, პირველია ის, რომ ოპოზიციას საკუთარი მხარდამჭერები აღარ ენდობიან. ხალხს წააქეზებენ, მიუქსევენ სპეცრაზმს და პოლიციას, შემდეგ კი თავად მათ ზურგს უკან ამოფარებულები იმალებიან და მშრალები გამოძვრებიან ხოლმე ამ სიტუაციიდან. ხალხმა ეს კარგად დაინახა.

გაგრძელება მე-10 გვ.

# ბიზნესი პროდუქციის გაძვირებაზე ალაპარაკდა — მთავარი მიზეზი ლარის გაუფასურებაა!



## ბაზარი ფასებს ვერ არეგულირებს



ეროვნული ვალუტის მცოცავი გაუფასურების გამო, ბიზნესის წარმომადგენლები პროდუქციის გაძვირებაზე ალაპარაკდნენ. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია, სხვები ფასების ზრდას არ ადასტურებენ, მაგრამ აშკარად მიუთითებენ, რომ დღევანდელი რეალობის შენარჩუნების შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების მიღება მოუწევთ.

ლარის კურსის პროგნოზირება რთულია, თუმცა როგორც ფინანსისტები მიიჩნევენ, ბოლო დროს ვითარება უფრო ეროვნული ვალუტის გაუფასურებისკენ იხრება. „თბილისი ცენტრალის" დირექტორის **ლევან ყარაშვილის** აზრით, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების პარალელურად, ფასების ზრდა გარდაუვალი იქნება.

**„შარშან უმნიშვნელო ცვლილება იყო, რაც ინფლაციასთან თანხვედრაში მოდიოდა, მაგრამ წლევანდელი წელი როგორი იქნება, ამას უფრო გაზაფხულზე ვიხილავთ. ძვირდება პროდუქცია, იზრდება წნეხი ბიზნესზე საგადასახადო კუთხით და პლუს დამოკიდებული ვართ იმპორტზე. მიმდინარე მოვლენების პარალელურად, გაძვირება, ალბათ, გარდაუვალი იქნება საცალო სექტორშიც, რაც, საბოლოო ჯამში, ნეგატიურად აისახება ყოველი მოქალაქის ჯიბეზე.**

**პროგნოზი ძალიან რთულია, თუმცა უკვე ვხედავთ, რომ ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ ლარის არსებული კურსის შენარჩუნება ძალიან გართულდება. თუკი ასე გაგრძელდა და სანქციები კიდევ უფრო გამწვავდა, ლარზე წნეხიც მეტად გაიზრდება. არ მგონია, რომ დღეს ქვეყანაში არსებობდეს საკმარისი რეზერვი, რომ კურსის შენარჩუნების საშუალება გვქონდეს. სამომხმარებლო ბაზარზე, საბოლოო ჯამში, დაიწყება ფასების ზრდის დინამიკა და აისახება ყოველდღიურ ცხოვრებაზე"**, — განუცხადა ყარალაშვილმა „ბიზნესპრესნიუსს".

საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს-ასოციაციის პრეზიდენტი **ლაშა რიჟამაძეც** ადასტურებს, რომ ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა პირდაპირ ზემოქმედებს საქონლის ღირებულებაზე, რომელიც შემდეგ მომხმარებლს ხვდება დახლებზე. ეს ტენდენცია უკვე წინა თვეში გამოჩნდა.

**„გაძვირების პროცესი, რა თქმა უნდა, დაწყებულია. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ კურსის მერყეობასა და გაუფასურებაზე, ეს არასასურველ ზეგავლენას ახდენს იმ ფასზე, რომლის ფორმულირებაშიც ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ფაქტორი არის გაცვლითი კურსი. გაძვირების ნიშნები უკვე წინა თვეებში გამოჩნდა, როდესაც ლარმა მერყეობა დაიწყო. ეს, გარკვეულწილად, ეტაპობრივად ისახებოდა ფასებზე. ყველა ცდილობს, რისკი, რაც მომდინარეობს კურსიდან, დააზღვიოს"**, — განაცხადა ლაშა რიჟამაძემ

იმპორტიორებთან ერთად სტაბილურობის შეგრძნება არ აქვთ არც ადგილობრივ მწარმოებლებს. ამის მიზეზი ისაა, რომ ნედლეული, რომელიც ადგილზე საქონლის დამზადებას უზრუნველყოფს, უცხოურია, ის კი თანდათან ძვირდება. შარშან ნედლეულის ფასი მნიშვნელოვნად არ გაზრდილია, თუმცა ბოლო 2 თვეში ლარის კურსის ცვლილებამ ფასზე მაინც იმოქმედა.

სამშენებლო და სარემონტო მასალების კომპანია „ნოვას" დირექტორის **ედიშერ ხიმშიაშვილის** ინფორმაციით, „ნოვას" ნედლეული სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, უკრაინიდან, ჩინეთიდან და თურქეთიდან შემოაქვს და ამიტომ გაცვლითი კურსის სტაბილურობა მნიშვნელოვანია.

**„ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს ბიზნესზე დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ მცირედად მაინც აისახა. ქვეყანაში ფონია ისეთი, როდესაც მოსახლეობას და ბიზნესებს ინვესტიციების მიმართულებით მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა უჭირს. ეს გარკვეულწილად, თუ ჯერ არა, მომავალში აუცილებლად პოვებს ასახვას ჩვენს ბიზნესზე. სამშენებლო მასალების ბიზნესი მშენებლობის ბიზნესზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული და თუ მშენებლობის მიმართულებით კრიზისი შეიქმნება და მოთხოვნა შემცირდება — ეს პროპორციულად აისახება ჩვენს ბიზნესზე"**, — განაცხადა ხიმშიაშვილმა.

ეკონომისტი **ოთარ ანგურიძე** კი დარწმუნებულია, რომ საგანგაშო არაფერი ხდება — ლარი ხან გაუფასურდება, ხან გამყარდება და ეს ბუნებრივი პროცესია.

**„რაც ლარის კურსთან დაკავშირებით ახლა მიმდინარეობს, ბუნებრივი პროცესია. ლარის კურსი თავისუფალი გაცვლითი კურსით რეგულირდება, შესაბამისად, ის ცოტათი ხან გადაიხრება, ხან გადმოიხრება, რაც ამ ტიპის ვალუტებს ახასიათებთ. საგანგაშო არაფერი ხდება.**

**განსხვავდება იმისგან, რაც შემოდგომაზე, წინასაარჩევნო პერიოდში გვქონდა, როდესაც მუდმივად გაუფასურების ტრენდი იყო. შესაბამისად, ეროვნულ ბანკს რამდენჯერმე ჩარევა მოუწია იმისთვის, რომ ლარის კურსი დაესტაბილურებინა. როგორც კი არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, როდესაც ცრუ მოლოდინებმა თავისი რესურსები ამოწურა, ლარმა გამყარება მაშინვე დაიწყო. შესაბამისად, თუ მაშინ ეროვნულ ბანკს უწევდა, რომ რეზერვები დაეხარჯა, რათა ლარის კურსი დაესტაბილურებინა, უკვე ნოემბერ-დეკემბრის სტატისტიკაში გვაქვს მონაცემები, რომ, პირიქით, ეროვნულმა ბანკმა ეროვნული რეზერვების შევსება საკმაოდ დიდი რაოდენობით მოახდინა.**

**რაც დღეს ხდება, ჩვეულებრივი პროცესია. ლარის კურსი ხან გაუფასურდება, ხან გამყარდება. ამდენად, განსაკუთრებული არაფერი ხდება. თუ წინა კვირაში მცირედით გაუფასურება გვქონდა, მიმდინარე კვირის დასაწყისიდან ვხედავთ, რომ ლარი გამყარებისკენ წავიდა"**, — განაცხადა ეკონომისტმა.

## საქსტატი: 2025 წლის იანვარში წლიურმა ინფლაციამ 2.0 პროცენტი შეადგინა

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2025 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში — 0.4 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 2.0 პროცენტი შეადგინა.**

**რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, საქსტატის ცნობით, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2025 წლის იანვარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 2.0 პროცენტით განისაზღვრა.**

„ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.1 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.4 პროცენტული პუნქტით აისახა.

ფასები მომატებულია ქვეჯგუფებზე:

ხილი და ყურძენი (4.2 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (3.5 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (3.3 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (2.8 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (2.0 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (1.0 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (0.2 პროცენტი).

ამასთან, ფასები შემცირდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (-1.1 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (-0.5 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში ფასები მომატებულია 1.1 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.09 პროცენტული პუნქტით აისახა.

ფასები მომატებულია ქვეჯგუფებზე: სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა (1.5 პროცენტი), ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (1.4 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.0 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0.06 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები, ძირითადად, გაიზარდა თამბაქოს ნაწარმზე (1.8 პროცენტი);

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ჯგუფში ფასები შემცირდა 2.6 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე -0.13 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები შემცირებულია როგორც ფეხსაცმლის (-4.2 პროცენტი), ისე ტანსაცმლის (-1.8 პროცენტი) ქვეჯგუფებზე", — აღნიშნულია საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში.

**ბექა დანელია**

# საქართველოს ბიზნესასოციაცია ევროპულ დირექტივებს იზიარებს!

**საქართველოს ბიზნესასოციაციამ დანიელ პარტნიორებთან თანამშრომლობის ფარგლებში, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი, რომელიც ევროპული დირექტივებისა და ევროპის მწვანე შეთანხმების ძირითადი პრინციპების ადაპტაციისას ბიზნესის აქტიურ ჩართულობას ითვალისწინებს.**

დანიის ყველაზე მსხვილი ბიზნესგაერთიანების, დანიის ინდუსტრიების კონფედერაციასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მოხდება გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება ე.წ. მწვანე გადასვლასთან დაკავშირებით, რათა საქართველოში არსებულმა კერძო სექტორმა მოახდინოს ევროკავშირის რეგულაციებთან ეფექტიანი ადაპტაცია, რომელიც თავის მხრივ მოიცავს **CBAM**-ის, **CSDDD**-ისა და **CSRD**-ის რეგულაციებს.

მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს კლიმატის ეროვნული მიზნების ადვოკატირებას შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან. ასევე, ყურადღება გამახვილებულია დასაქმებულების ეფექტიან ინფორმირებასა და მომზადებაზე მწვანე ეკონომიკის რეგულაციების ადაპტაციის პროცესში.

მემორანდუმს საქართველოსთან ერთად ხელი მოაწერეს უკრაინის, მოლდოვისა და სომხეთის ბიზნესასოციაციების წარმომადგენლებმა.

„საქართველოს ბიზნესასოციაციისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობა და ევროინტეგრაციის საკითხები, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე. აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის ეფექტიანად გატარებისთვის, რომელშიც ჩართულია საქართველოში არსებული კერძო სექტორი და მასში დასაქმებული ადამიანები. ვფიქრობთ, რომ მწვანე ეკონომიკის საკითხებზე ერთობლივი მუშაობა, დასახული მიზნების რეალიზაციაში ეფექტიანი მექანიზმია და მოხარულნი ვართ, რომ საქართველოს ბიზნესასოციაცია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ პროცესში" — განაცხადა საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან ვწფხვაძემ.



# შრომის უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი პრობლემაა და ის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს!



**2025 წლის 29 იანვარს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტმა მაია მიქაიამ წარადგინა დისერტაცია თემაზე: „შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემები“. ნაშრომის დაცვა სტუ-ის ჰუმანიტარულ სოციალურ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე შედგა.**

**სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნუნუ ოვსიანიკოვა.**

**დოქტორანტმა მაია მიქაიამ, რომელიც 4 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, ამომწურავად ისაუბრა დისერტაციაში განხილული საკითხების შესახებ, წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემაში არსებული გამოწვევები და დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა ამ მიზნით მის მიერ შემუშავებული კონკრეტული რეკომენდაციები.**

მაია მიქაიას სადოქტორო ნაშრომში თანმიმდევრულად არის გაანალიზებული ქვეყანაში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი საკონსტიტუციო რეფორმების, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ მიღებისა და განვითარების ეტაპები; ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონმდებლობის ჩამოყალიბების ასპექტები; შეჯერებულია ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესის სამართლებრივი და პრაქტიკული სივრცის შესაბამისობა საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებთან და გაზიარებულია საერთაშორისო ექსპერტების დასკვნები, ბოლო 30 წლის განმავლობაში მიღებული საკანონმდებლო აქტების დადებითად შეფასების შესახებ; ამასთან, შემოთავაზებულია რიგი წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

დოქტორანტი მიიჩნევს, რომ საქართველოში შრომის უსაფრთხოების სფერო სამართლებრივად და პოლიტიკურად არის მოქცეული ასოცირების შეთანხმების ჩარჩოში და შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების დაცვა ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ნაწილია. მაია მიქაიამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ისეთი საკითხების შესწავლას, როგორიცაა შრომის საერთაშორისო სტანდარტები; საზღვარგარეთის ქვეყნების წარმატებული გამოცდილება შრომის უსაფრთხოების სფეროში; საქართველოში შრომის უსაფრთხოების მართვის სამართლებრივი საფუძვლები და შრომის უსაფრთხოების ინსტიტუციური მექანიზმები. კვლევის ნაწილში გაანალიზებულ იქნა ინსტიტუციური მექანიზმის ეფექტიანობა შრომის ინსპექციის მაგალითზე.

**კვლევის შედეგების ანალიზმა და დასკვნებმა, დოქტორანტს, რეალურ სურათზე დაყრდნობით, მისცა შესაძლებლობა, შეეფასებინა და განესაზღვრა გამოწვევები, დაესახა შესაბამისი ამოცანები და ჩამოეყალიბებინა სწორი რეკომენდაციები.**

ავტორის განმარტებით, მიუხედავად რეფორმებისა, რომლითაც ქვეყნის შრომის უსაფრთხოების სისტემა მნიშვნელოვნად დაუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს, დღესაც არსებობს გარკვეული გამოწვევები ასოცირების შესახებ შეთანხმების, ევროკავშირის სხვა დირექტივებისა და სოციალური ქარტიის დებულებიდან გამომდინარე. მისი თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მისაღები დირექტივების და თავად კონვენციების რატიფიცირებისა და შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის სრულყოფის საკითხების შესწავლა, რეფორმების მიმდინარეობის ანალიზი, შეფასებები, გამოწვევების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, განსაზღვრულ იქნა ის პრობლემები და გამოწვევები, რომელიც არსებობს საქართველოში, შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემაში. შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, რომელიც ემყარება ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებას, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას, სხვადასხვა კვლევას, სტატისტიკურ მონაცემებს, სამეცნიერო – პრაქტიკულ ნაშრომებს და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლას.

ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება იმ ფაქტზე, რომ შრომის უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვისთვის, ერთ-ერთ



აუცილებელ პირობას წარმოადგენს სწორედ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული კონვენციების რატიფიცირების საკითხი; განხილულია ევროპის სოციალური ქარტიის როლი შრომის უსაფრთხოების ნორმების რეალიზების კუთხით; გამახვილებულია ყურადღება იმ ფაქტზე, რომ საქართველოს მიერ მხოლოდ ნაწილობრივ არის რატიფიცირებული ევროპის სოციალური ქარტია.

**სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმება. აღნიშნული წარმოადგენს ორმხრივი ურთიერთობების ქვაკუთხედს, ხელს უწყობს პოლიტიკურ ასოცირებას, ეკონომიკურ ინტეგრაციას და თანამშრომლობას სხვადასხვა სექტორში.**

საერთაშორისო სტანდარტების კუთხით არსებული ვალდებულებების რეალიზების



კონტექსტში, დოქტორანტმა მნიშვნელოვნად მიიჩნია საზღვარგარეთის იმ ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, სადაც შრომის უსაფრთხოების სისტემა ტრანსფორმირდა პოსტსაბჭოთა პერიოდში და განვითარდა შრომის უსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის, ევროკავშირში გაწევრიანებისა და ევროკავშირის სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესწავლილი იქნა ევროკავშირის ქვეყნების, სლოვაკეთის და ესტონეთის მაგალითზე შრომის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დანერგვის გამოცდილება, რომელიც დაეფუძნა ეროვნული კანონმდებლობისა და ევროკავშირის დირექტივებს და, ძირითადად, წარიმართა ქვეყანაში შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შესაქმნელად, სამართლებრივი და ინსტიტუციური რეფორმების, ტექნოლოგიური და სოციალური განვითარების, შესაბამისი სამუშაო კულტურის ჩამოყალიბებისა და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების მიმართულებებით. ამ ორივე ქვეყანამ, შრომის უსაფრთხოების სფეროში ჩატარებული რეფორმების ფარგლებში, მოიცვა როგორც სამართლებრივი, ისე ინსტიტუციური სივრცე. ამასთან, ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გამოყენებით, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და შეძლო სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევების რაოდენობის შემცირება.

კვლევაში გაანალიზებულია ის ისტორიულ-სამართლებრივ-ინსტიტუციონალური გზა, რომელიც დაკავშირებული იყო შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნის, გაუქმების, შემდგომში სუსტი ძალაუფლების მქონე შრომის ინსპექტორების ახალი ინსტიტუტის ჩამოყალიბებასთან, 2015 წლამდე არსებულ სტაგნაციურ და შემდგომში, ევროინტეგრაციულ პროცესებთან თანხვედრაში, ახალი შრომის ინსპექციის სამსახურის ჩამოყალიბებასთან, განვითარებასა და სირთულეებთან. ავტორი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას ევროპული კომისიის 2024 წლის 10 ოქტომბრის ანგარიში, რომლითაც შეფასებულია საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე გადადგმული ნაბიჯები და მითითებულია, რომ ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობა, მოცემულ ეტაპზე, ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას, ხოლო შრომის ინსპექციის სამსახურის შესაძლებლობები – როგორც ინსტიტუციური, ასევე ადამიანური რესურსები, კიდევ უფრო გაძლიერდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ინარჩუნებს უბედური შემთხვევების კლების ტენდენციას, გარდაცვლილთა რაოდენობა, ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, ჯერ კიდევ მაღალია.

კვლევაში გამახვილებულია ყურადღება, რომ ქართული კანონმდებლობა ავალდებულებს დამსაქმებელს, შეუქმნას დასაქმებულებს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო, ხოლო დასაქმებულს აძლევს უფლებას, არ შეასრულოს იმ ტიპის სამუშაო, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ამდენად, მაია მიქაიამ მნიშვნელოვნად ჩათვალა სამშენებლო სექტორში დამსაქმებლის და დასაქმებულების გამოკითხვა. კვლევის ნაწილში მან 100 დამსაქმებელი და 150 დასაქმებული შეარჩია და წარმოადგინა



სამუშაო ადგილზე მომხდარი ფატალური შემთხვევების ანალიზი.

**ამრიგად, დისერტაციის ნაწილში შესწავლილი და გაანალიზებული მასალების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების მიღებით, საქართველოს ექნება შესაძლებლობა, გააუმჯობესოს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემა და აამაღლოს შრომის უსაფრთხოების კულტურა.**

* * *

**ოფიციალურმა** რეცენზენტებმა დადებითად შეაფასეს მაია მიქაიას სადისერტაციო ნაშრომი, გამოთქვეს კვალიფიციური რჩევები და მოსაზრებები; გაიმართა სამეცნიერო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. ყველამ ერთხმად დაადასტურა ნაშრომის მაღალაკადემიური დონე და მისი მნიშვნელობა სამეცნიერო თვალსაზრისით.

სადისერტაციო კომისიამ უმაღლესი ქულით შეაფასა მაია მიქაიას საკვალიფიკაციო ნაშრომი და მას ერთხმად მიანიჭა საჯარო მმართველობის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის შრომებში, სტატიებში, კონფერენციაზე და გადმოცემულია ინფორმაციის სახით ავტორის მიერ შესრულებულ კოლოკვიუმებში.**

წარმატებები ვუსურვოთ ქალბატონ მაიას შრომის უსაფრთხოების მართვის ურთულესი სფეროს სამეცნიერო და პრაქტიკული შედეგების გაუმჯობესების საქმეში.

მოამზადა
**ნონა ქარქაშაძემ.**






# სინერგია პლანეტარული სიცოცხლისათვის

**გამოვიდა მწერალ გური ოტობაიას წიგნი „სინერგია პლანეტარული სიცოცხლისათვის“. ესეისტური ხასიათის ეს ნაწარმოები, ფაქტობრივად, ახალი სიტყვაა ქართულ ლიტერატურაში, იმდენად, რამდენადაც მასში ხელოვნურ ინტელექტთან დიალოგის ფორმით არის განხილული კაცობრიობისათვის მნიშვნელოვანი პრობლემები. წიგნში საუბარია ისეთ თემებზე, როგორიცაა: ომებით გამოწვეული კრიზისი, ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, ახალი იდეების პროპაგანდა; უნიკალური ხედვა: გაორებებისგან გამოსვლის იდეა და ადამიანის როლი პლანეტის გადარჩენაში; კულტურული ფასეულობების წარმოჩენა: ქართული კულტურის ელემენტების შერწყმა უნივერსალურ ფასეულობებთან; მომავლისთვის ახალი გზების ძიება: განათლების რეფორმის ხედვა; გლობალისტური თანამშრომლობის იდეა და პროგრესისკენ საერთო ძალისხმევის მოწოდება. ხელოვნური ინტელექტის შეფასებით, წიგნის თემატიკა იმდენად უნიკალური და ფილოსოფიურად ღრმაა, რომ მისი ინგლისურ ენაზე თარგმნა გააფართოებდა წიგნის გავლენის არეალს და მოიზიდავდა იმ აუდიტორიას, ვინც დაინტერესებულია კულტურული, ფილოსოფიური და გლობალისტური ხედვით. მწერალი გური ოტობაია სამომავლოდ, ხელოვნურ ინტელექტთან თანამშრომლობით, ვრცელი რომანის დაწერას გეგმავს, რომელიც მისივე თქმით, გლობალური ომის „დიფ სთეითის“ წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ოდისეა იქნება.**

ტელ.: 571 21 27 70. ელ. ფოსტა: gurimari1953@gmail.com

**– ბატონო გური, თქვენ პირველად გამოიყენეთ ქართულ მწერლობაში ხელოვნურ ინტელექტთან დიალოგის ფორმა, რა გახდა ამის საფუძველი?**

– საკუთარ შემოქმედებაზე საუბარი ცოტა უხერხულია, მაგრამ არსებობს რეალობა, რასაც ადეკვატური პასუხი უნდა გაეცეს. მხედველობაში მაქვს ხელოვნური ინტელექტის ფენომენის შემოტანა ქართულ მწერლობაში. საქმე ის არის, რომ ჩვენ გვაქვს ისეთ მატერიალურ და რეალურ ფაქტებზე მსჯელობა, რასაც ზოგჯერ ამა თუ იმ კრიტერიუმით შეფასება არ აკმაყოფილებს. როდესაც, მაგალითად, საქმე ეხება ახალგაზრდობას, რამდენად მართებულია მათი ქმედება, რამდენად მართებულია ამა თუ იმ ხელისუფლების დამოკიდებულება მათი უფლებებისადმი და ა. შ. მიკერძოებაში რომ არ ჩამომრთმეოდა, რომელიმე **კლანის, პოლიტიკური დაჯგუფების ან თუნდაც ხელოვნების კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ხელოვნურ ინტელექტს მივანდე.**

ხელოვნური ინტელექტის მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობს, ზოგი ირონიულად უყურებს მას, ზოგი სერიოზულად და მე მიმაჩნია, რომ ხელოვნური ინტელექტი დღეს ყველაზე მაღალი კრიტერიუმის ფენომენია მსოფლიოში. ხელოვნური ინტელექტის წინაშე ხშირად აგებენ უკვე მსოფლიოში ცნობილი მოჭადრაკეები, მისი შესაძლებლობა ბევრ საკითხში ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ეს განსაკუთრებით ინტელექტუალურ სფეროს და მეხსიერებას ეხება.

**– უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, რა არის წიგნის მიზანი და რა კატეგორიის მკითხველს დააინტერესებს ის?**

– ჩემი მიზანი იყო, ჩემი აუდიტორიისთვის, ჩემი ქართველებისთვის მენახებინა, თუ რას წარმოადგენს პროტოიბერიული რასა, რა ფასეულობებს ეყრდნობა მისი მოვლინება ამ ცის ქვეშ, რა საიდუმლოებებს ინახავს მისი გამობრწყინება სამყაროში, რა საიდუმლოებებს ინახავს გარკვეულ პერიოდში მისი ჩავარდნები... პროტოიბერიული რასა, ეს არის კაცობრიობის ლოცმანი. როცა ძველი იალქნიანი გემები მიდიოდნენ, მათ წინ მიუძღვოდათ ლოცმანებად დელფინები, ისინი გაარღვევდნენ ხოლმე რთულ რელიეფს და ზღვაში გზას უკვალავდნენ, მეგზურობას უწევდნენ ადამიანებს. დაახლოებით იმავეს აკეთებს პროტოიბერიული რასა კაცობრიობისთვის, დედამიწისეული ცივილიზაციისათვის.

დედამიწისეული ცივილიზაცია არც ისე დიდი ხნის არის. ის, დაახლოებით, 8000 წელიწადს მოიცავს. შუმერების დიდი სპეციალისტი ნოა კრამერი პირდაპირ ამბობს, რომ პირველი ცივილიზაცია იყო შუმერული ცივილიზაცია. 12 ათასი წლის წინათ ჩვენ მივიღეთ დედამიწაზე დიდი კატასტროფა, რამაც დედამიწის ღერძი გადახარა 38 გრადუსით და ამას მოჰყვა დიდი კატაკლიზმები, გამყინვარება, პოპულაციების გადაშენება და ა. შ. კოლხეთში და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რომელსაც, გარკვეული პერიოდი, მთლიანად კოლხური ცივილიზაცია ფარავდა.

ერთი რამ ეშლებათ მეგრელებსაც და დანარჩენ ქართველებსაც, რომ კოლხური ცივილიზაცია, თითქოს, მხოლოდ მეგრელების საკუთრებაა. ნურას უკაცრავად, კოლხეთი ყველას ეკუთვნოდა: როგორც მეგრელს, ასევე ქართლელს თუ კახელს.... აქ უამრავი ტომი ცხოვრობდა და რომელიღაცა ტომის დაწინაურების შედეგად, მისებურად ამეტყველდა მთელი კოლხეთი.

საქართველოს მშენებლობაში ძალიან დიდი როლი ითამაშა ქუჯის კოლხეთმა, რომელმაც თავი დაუხარა მოსულ ახალგაზრდა კაცს, ფარნავაზ მეფეს, რომლის დაც ცოლად შეირთო ქუჯიმ. ფარნავაზ მეფე არის ალექსანდრე მაკედონელის ომის მონაწილე, სადაც მას პატარა რაზმი ჰყავდა. მოდის ეს ტომი, თავს უხრის ჩვენი ქუჯი, რომელიც არის კოლხეთის მეფე და ნიშნავს მას თავის ხელისუფლად.



**ამ უდიდესმა ქველმოქმედმა ადამიანმა რამდენიმე ათეული გვიმრის ხე ჩამოიტანა. ამას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც იოანე ზოსიმეს მესიანური წიგნის ჩამოტანას ,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ რომ ჰქვია. იმიტომ, რომ ჩვენ მუხის ხეზე არ ვლოცულობდით, ჩვენ ვლოცულობდით გვიმრის ხეზე.**

ზოგადად, ქართები არიან კუნძულ კრეტადან, რომელიც არის ხმელთაშუა ზღვის აუზში. ქართები იყვნენ საკრალური ცოდნის მქონე, უფლისგან ხელდასხმული ხალხი, რომლებიც ფარაონების კორონაციას და მუმიფიცირებას ახდენდნენ. როცა ქუჯიმ ნახა, რომ მასთან ქართის ტომის, ანუ აღმატებული ქურუმული ცოდნის ხალხია, ეგრევე თავი დაუხარა მათ და უთხრა: თქვენ მეფე და მე მონაო! ეს არის ქართის ტომის აღზევების დასაწყისი. სახელმწიფოს, რომელიც მათი შემოსვლის შემდეგ შეიქმნა, ეწოდა იბერია. მთელი ევროპის ტერიტორია იყო იბერიელებით დასახლებული. ესენი არიან ატლანტიდის კატასტროფას გადარჩენილი ხალხი და მერე მათი განთესვა, სხვადასხვა სივრცეში განბნევა როგორ და რანაირად მოხდა, ძნელი სავარაუდოა, თუ ვაჟას „ფორმულას“ არ მოვიშველიებთ. ვაჟა ამბობს: **„რაც იმ ერთ ღამეს მომხდარა, შეუნახია ჰაერსა“.** ანუ ეს ყველაფერი ჰაერის მიერაა შენახული და ახლა ჩვენ შესაბამისი აპარატურა არა გვაქვს, თორემ ყველაფრის გაცოცხლებას შევძლებდით. მოვა დრო, რომ ყველაფრის აღდგენა იქნება შესაძლებელი, როგორც კინოსურათის, რაც კი დედამიწის ზურგზე მომხდარა. თუმცა, ეს ცოტა შორეული მომავლის ამბავია.

**– ჯერჯერობით ამაზე ფიქრი ნაადრევია და ამიტომ ჩვენ ისევ პროტოიბერიულ რასას დავუბრუნდეთ. მაინც, რატომ არის იბერიელი სხვებისგან განსხვავებული და გამორჩეული?**

– იმიტომ, რომ სხვისთვის სიცოცხლის ჩუქება შეუძლია! მას შეუძლია თავი გასწიროს სხვისთვის, ამით არის გამორჩეული სხვა ერებისგან. წარმოიდგინეთ, 200 კაცი იჯდა ლაინერში, სადაც იყო პროფესორი ჟორდანია. ერთ-ერთი ფერადკანიანი გოგონასთვის, რომელიც უბილეთოდ მგზავრობდა, არ აღმოჩნდა „ჟილეტი“ და ამ კაცმა, ჟორდანიამ მას საკუთარი „ჟილეტი“ დაუთმო, კატასტროფის დროს რომ გადაერჩინა. ანუ საკუთარი სიცოცხლე აჩუქა სრულიად უცხოტომელ გოგონას. ესეც არის ზუსტად სულიერი მისია, რასაც ზვიადი ამბობს. კაცობრიობის სულიერი მისიის განმსაზღვრელია ეს იბერიული რასა, ეს ქართული შთამომავლობა, – რამდენი ომი და ეროვნული დაპირისპირება გვაქვს გადატანილი, შიგნით კიდევ „მეხუთე კოლონა“ გვძიძგნის და ამ დროს ერთადერთი კაცი, ბიძინა ივანიშვილი ახერხებს, რომ საქართველოში მშვიდობა შეინარჩუნოს და გადაარჩინოს ქართული გენი. კაცმა საკუთარი ოჯახის ყოფნა-არყოფნის საკითხი სასწორზე დადო, თავისი ბიზნესი გასწირა... ჩვენ მსგავსი გმირი არა გვყავს. საუკუნეების შემდეგ დაფასდება ივანიშვილის ფენომენი და ღვაწლი. დღეს მას ყველა ვიგინდარა ვაიპოლიტიკოსი, ან საქმეში ჩაუხედავი, ტალახს ესვრის და საქილიკოდ მიიჩნევს მის გაკეთებულ საქმეებს, მინდოდა ამ წიგნით ეს დამენახვებინა ჩემი მკითხველისთვის.

დიდ ასაფეთქებელ ნივთიერებას ერთი



## ტრამპის ინაუგურაციის მოლოდინში

პატარა მუხტი აფეთქებს. ნებისმიერი დიდად ორგანიზებული სხეული, დაწყებული დინოზავრიდან, ადამიანით დამთავრებული, ერთი უჯრედისგან იწყება. აი, ამ ერთი უჯრედის გადარჩენა შეძლო ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, რაზეც უკვე დანარჩენი სხეულის აშენება შეიძლება.

მე გავუგზავნე ბატონ ბიძინას პლაკატი სანდო ხელით, სადაც აღწერილი იყო, რომ უძველეს კოლხეთში გვიმრის გიგანტური ხეები ხარობდა. დროთა ვითარებაში შეიცვალა კლიმატი, ეს ხეები გადაგვარდა და მხოლოდ ბალახის სახით დარჩა. თუმცა, ახალ ზელანდიაში ის დღესაც არის და მე შევთავაზე მას, რომ რადგან უამრავ საქველმოქმედო პროექტს აკეთებს, იქნებ ჩამოეტანა გვიმრის ხეებიც ახალი ზელანდიიდან. მართლაც, ამ უდიდესმა ქველმოქმდმა ადამიანმა, რამდენიმე ათეული გვიმრის ხე ჩამოიტანა. ამას ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც იოანე ზოსიმეს მესიანური წიგნის ჩამოტანას „ქება და დიდება ქართულისა ენისაი“ რომ ჰქვია. იმიტომ, რომ ჩვენ მუხის ხეზე არ ვლოცულობდით, ჩვენ ვლოცულობდით გვიმრის ხეზე. გვიმრის ხე ნაყოფს არ იძლევა, ის არის მშვენიერების სიმბოლო და სწორედ ამ მშვენიერების სიმბოლოზე ვლოცულობდით. ეს სალოცავი დაუბრუნა ბატონმა ბიძინამ საქართველოს. არაფერს ვიტყვი, რამდენი ქველმოქმედება აქვს გაკეთებული ამ ადამიანს, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მან ქვეყანა ბეწვის ხიდზე გაატარა, ომს აარიდა და ამით საქართველოს გენოფონდი გადაარჩინა.

„დიფ სთეითი“, იგივე გლობალური ომის პარტია, არის ის ბოროტება, რომელიც კაცობრიობის თავზე მძვინვარებს და რომელსაც ერთი და ორი სახელმწიფოს ძალისხმევა ვეღარ გაწვდება. ყველაფერი მათი აგორებულია: ადამიანის უბედურებები, აფრიკის საშინელებები, დაბალგანვითარებული ერების სოციალური ფონი, ომები და სისხლისღვრა... ეს ყველაფერი მის მიერაა შექმნილი, იმიტომ, რომ ამ ბოროტებით თვითონ კოლოსალურ მოგებას იღებენ. ომი, ხომ, ზოგადად, დიდი მოგების მომტანია. იმედი მაქვს, რომ დონალდ ტრამპის მმართველობა ამერიკაში ბოლოს მოუღებს ამ ბოროტებას, თუმცა მას ამ საქმეში თავისნაირი პატრიოტი ადამიანების დახმარება დასჭირდება. მე ტრამპი აქილევსს შევადარე, რადგანაც მისი მრისხანება, მისი ძალისხმევა და თავდაუზოგავი ბრძოლა წარმატებისთვის, რამაც საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა, ძალიან დასაფასებელია. თუმცა, მხოლოდ ტრამპზე არ არის საუბარი, აქ არის ორბანი, რომელიც ქომაგად ედგა მხარში ყოველთვის საქართველოს, ამას შეეწირა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ინდოეთის განმათავისუფლებელი მაჰათმა განდი, შემდეგ უკვე ინდირა განდი, ამერიკის პრეზიდენტი კენედი, რომელმაც გაამხილა ამ გლობალისტური ომის პარტიის არსი, თავის დროზე.

**— „დიფ სთეითის“ დამარცხება, მოგეხსენებათ, არც ისე იოლი საქმეა, რადგან ის ჯერ კიდევ საუკუნეების წინ იღებს სათავეს. თქვენ რას სთავაზობთ მკითხველს ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად?**

— „დიფ სთეითი“ რომ სიკეთეს დავუქვემდებაროთ, უნდა იყოს რაღაც პლანეტარული მნიშვნელობის ასპარეზი (ვთქვათ, ბიბლიური წარღვნა, ჩინეთის დიდი კედლის აგება და ა. შ.) და ეს ასპარეზი შევუქმენი მე ამ წიგნით კაცობრიობას. დედამიწას აკლია ჟანგბადი. დედამიწაზე რომ კიდევ 2 გრადუსით დათბეს, მას 15-მეტრიანი წყალი დაფარავს, დედამიწაზე ახალი წარღვნა იქნება. ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ უდაბნოების ათვისების პროექტი მაქვს წარმოდგენილი.

ქართველმა აკადემიკოსმა რამაზ გახოკიძემ შექმნა ერთი კონგენიალური ბიოაქტივატორი, რასაც მე მე-8 საოცრება შევარქვი. იგი დადებითად მოქმედებს როგორც მცენარეულ, ასევე ცხოველურ ორგანიზმზე. მის მიერ წარმოქმილი პროდუქტი აბსოლუტურად ჯანსაღია, ამავდროულად, სადაც ეს პროდუქცია იქნება გამოყენებული, ნიადაგი კეთილშობილდება და დიდი რაოდენობით ჟანგბადს გამოყოფს. ამ მცენარეს ქვია ფსტა, ფისტაცია ვერა – ლათინურად. ის არის გრძელფესვებიანი მცენარე და შეუძლია 30-35 მეტრი სიღრმიდან წყლის მარაგი ამოქაჩოს. ნახევრად უდაბნოში, ყველგან, სადაც წყალი 10-15 მეტრის სიღრმეშია. ასეთი სივრცეების ნაყოფიერ ნიადაგად გარდაქმნა, ქართულ პროექტს, „ბიორაგითა“ და ფსტა-მცენარით, თავისუფლად შეუძლია. მთავარია მონდომება. ქართველები არიან პირველსაწყისები ყველაფერში, იმიტომ გახდა კოლხი წარმატებული, რომ მან გამოიგონა რკინის მიღების ქიმიური გზა, ქვიშის მაგნიტიტის 1400-1600 გრადუსზე ქურაში გამოდნობით. იმ პერიოდში რკინა ოქროზე 10-ჯერ ძვირი იყო. მე ეს წიგნი შევთავაზე ცივილიზებულ კაცობრიობას, შევთავაზე იგივე ტრამპს, იგივე მასკს, იგივე ორბანს, ანუ ჩვენი პლანეტის გონებანათელ შვილებს.

რაც შეეხება დონალდ ტრამპს, ის არის პროტოიბერიული წარმოშობის, მისი ფესვები შოტლანდიიდანაა. ტრამპს რა თქმა უნდა, დიდ პიროვნებად მივიჩნევ, მაგრამ მის გვერდით არის ასევე ილონ მასკი და დემოკრატიულად მოაზროვნე უამრავი ადამიანი. მართალია, ბოროტებას ბოლომდე ვერავინ გაანადგურებს, რადგან ბოროტება და სიკეთე და-ძმასავით არიან, მაგრამ მთავარია, რომელი იზეიმებს – ბოროტება თუ სიკეთე?! თუ ასე არ მივუდგებით საკითხს, „დიფ სთეითს“ ვერ გავანადგურებთ. რაღაცნაირი ფორმით უნდა შევძლოთ მისი მოთოკვა, რომ არ უნდა ფეთქდებოდეს ატომური ბომბი, არსად არ უნდა გამოიცდებოდეს იგი, იმიტომ, რომ ის ცივილიზაციის გამანადგურებელია. ამას ემსახურება ჩემი წიგნი.

მე მაქვს ამის ხელდახსმა, ვთქვა, რომ დედამიწის გადარჩენა დამოკიდებულია ომების ალაგმვაზე. ვის ხელეწიფება ეს? – სამარცხვინოდ რომ მიაჩნიათ პოლიტიკაში ოლიგარქის მოსვლა, მე ამას ცოტა სხვანაირი თვალით ვუყურებ. თუ ოლიგარქთა ხელისუფლება არ მოვიდა ბევრ ქვეყანაში და თუ არ მართა მსოფლის წამყვანი ქვეყნები ოლიგარქიულმა ძალამ, მაშინ ჩვენ „დიფ სთეითის“ დამარცხებას ვერ შევძლებთ. „დიფ სთეითის“ მესვეურებიც იგივე ოლიგარქები არიან, რომლებსაც შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ მათი ტოლფასი ადეკვატური ძალა. ისინი შეეცდებიან ამ ბოროტი ძალის გაუვნებელყოფას, მშვიდობიან რელსებზე გადაყვანას და მისთვის ომის „მადის“ წართმევას. სხვანაირად ჩვენ ამას ვერ შევძლებთ!

ოლიგარქიის საკითხს ყველაზე კარგად მარქსი ხსნის. ის ამბობს, რომ მატერიალური დოვლათის დაგროვება თანდათანობით იწვევს თვითონ იმ ოლიგარქში ზნეობრივ ამაღლებას. ოლიგარქს არ დასჭირდება 50 პურის ყიდვა, როცა 1 პურიც ჰყოფნის. ის 49 პურს არ შეინახავს, ადგება და ხალხს მისცემს. უნდა შეიქმნას კაცობრიული ოლიგარქიული მმართველობა, რადგან „დიფ სთეითს“ უზარმაზარი რესურსი აქვს და მას ვერ მოერევიან ჩვეულებრივი პრეზიდენტები. მხოლოდ ოლიგარქიული მმართველობის შემთხვევაში წავა კონსოლიდაცია და შეთანხმებული მსვლელობა დედამიწის გადასარჩენად.

**— წიგნში ახალგაზრდობის და განათლების თემასაც ეხებით. როგორია თქვენი ხედვა ამ მიმართულებით?**

— ახალგაზრდულ მღელვარებებთან დაკავშირებით, საბედნიეროდ, ჩვენ მოგვეპოვება ეჭვმიუტანელი ბიბლიური გამოცდილება: მშობლების წინააღმდეგ ამხედრებული შვილი – ძე შეცდომილი და დედ-მამის ნებიერი მემკვიდრე – ჯიშ-ჯილაგის გამგრძელებელი. პირველი ვერ ღებულობს მშობლების კურთხევას, ხოლო მეორე დაილოცება მამისგან და ჩაბარდება კერის, ოჯახის, ფუძის ანგელოზის გაძლოლა, ანუ ასეთი პირმშოები იყვნენ, არიან და იქნებიან ჯიშ-ჯილაგის გამგრძელებლები. ჩვენ იმედის თვალით შევყურებთ ჩვენს ახალგაზრდა თაობას და გვინდა მივანიჭოთ მათ ეს ხელდასხმა, მაგრამ მათი მიდრეკილებები თუ აცდენილია ათასწლეულობით გამომუშავებულ ტრადიციულ ფასეულობებს, მამა ვერ გასცემს მათზე ამ კურთხევას. იგი იქნება გვარის წინაშე ძე შეცდომილი, როგორც უფლისწული აბესალომი. ჩვენ რუსთაველზე მოფენილ ახალგაზრდობას თანავუგრძნობთ, როგორც მომავალს ჩვენსას, მაგრამ კურთხევას მიიღებენ ჩვენგან მაშინ, როცა უკლებლივ შეიმოსებიან პატროფილური მსოფლგანცდით. თამაზ კვაჭანტირაძის მინისტრობის დროს, უნივერსიტეტების რაოდენობამ, ვგონებ, 100-ს გადააჭარბა მთელ საქართველოში. ეს უნივერსიტეტები იმ პერიოდში უფრო ფულის საშოვნელად აღმოცენდნენ და მათი მინიმუმამდე შემცირება მოხერხდა სახელმწიფოებრივი ბერკეტებით. დღევანდელი უნივერსიტეტების მეტი წილი კი საერთოდ აცდენილია საქართველოს სახემწიფოებრივ მაგისტრალს. აქ ანტიქართული, სამშობლოსმოძულეობის ქარტეხილი ტრიალებს განუკითხავად. ყველა ეს სასწავლებელი წინასწარ გათვლილი გეგმით თბილისშია თავმოყრილი, რათა ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლებისას არ გაძნელდეს 30, 40, 50 ათასი ახალგაზრდის ელვისებური შეკრება. ჩვენ ვერ ვიტყვით ჩვენს ახალგაზრდა თაობაზე, მიუშვით ნებასა-თქო, მაგრამ ვალდებული ვართ, შევახსენოთ ფრაზა ფოლკლორიდან, თუ რა ემართება დედის წინ მორბენალ კვიცს. და მაინც, თავს ვალდებულად მივიჩნევთ, მივუტევოთ მათ 78-ჯერ, ხელი გავუწოდოთ კვლავაც 78-ჯერ, როგორც ამას უფალი იესო ქრისტე გვასწავლის.

ყველაფრის თავი და თავი კი უეჭველად „დიფ სთეითის“ დამქაში არასამთავრობოები მგონია, დაახლოებით, 35 ათასია ამ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც კვლავაც თბილისშია თავმოყრილი და მადიანად ხრავენ საქართველოს დასაქცევი ქმედებებისთვის გადახდილ 10 000 -ობით დოლარს. პირველ რიგში ეს უნდა აილაგმოს. პირველ რიგში ამათ უნდა ამოედოთ აღვირი, როგორც ეს მოხდა რუსეთში, აზერბაიჯანში; როგორც ეს ხდება აშშ-სა თუ ყველა თავმოყვარე ქვეყანაში. სხვანაირად, ნებისმიერი მცდელობა ქვეყნის წელში გასამართად, სუფთა წყლის ნაყვად იქნება.

**— ბატონო გური, თქვენი შემოქმედება უკვე შეაფასა ხელოვნურმა ინტელექტმა, რაზეც თქვენივე წიგნში საუბრობთ. მომავალშიც გააგრძელებთ მასთან თანამშრომლობას?**

— შემფასებელთა შორის ყველაზე მაღალ კრიტერიუმად მე დღეს **სოსო სიგუას** მივიჩნევ, რომელიც არის კულტურულოგიის დიდი სპეციალისტი და დამსახურებულად აირჩიეს კიდევაც აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, მისი გადაწყვეტა უფრო რთულია, თუმცა, ხელოვნური ინტელექტი ამისთვისაც მზად არის. როგორც მისგან გავიგე, ხელოვნების სხვა წარმომადგენლებსაც ჰქონიათ ხელოვნურ ინტელექტთან კონტაქტი, მაგრამ ისე, რომ თავად წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი ყოფილიყოს, აქამდე ამის პრეცედენტი არ ყოფილა.

ხელოვნურმა ინტელექტმა მითხრა, რომ ამ შემთხვევაში, მე ვარ ნოვატორი, „ყამირის გამკვალავი“ და ჩვენ შემდგომ თანამშრომლობაზეც შევთანხმდით. ჩვენ დავთქვით, რომ მალე რომანზე მუშაობასაც დავიწყებთ და შესაძლოა, სწორედ ეს წიგნი გახდეს ჩემი მომავალი რომანის ქარგა.

მისი მთავარი გმირები, დაბეჯითებით ვიცი, დღევანდელობიდან იქნებიან ბიძინა ივანიშვილი, დონალდ ტრამპი, ილონ მასკი, ვიქტორ ორბანი და სხვა მსოფლიოს უდიდესი პოლიტიკოსები, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ჯონ და რობერტ კენედები. შორეული წარსულიდან აქ თავს მოიყრიან მაკედონელები, კეისრები, ჩინგიზ ხანები, ბონაპარტები, ჰიტლერები და სხვ. ეს იქნება გლობალური ომის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ოდისეა, კაცობრიობის მსვლელობა და მე ამ რომანს ხელოვნურ ინტელექტთან ერთად დავწერ.

მე მას ვთხოვე, შეექმნა დედამიწის პორტრეტი კაცობრიული თვალსაწიერით და ნახეთ, რანაირი ნახატი მომაწოდა: დედამიწის კონტინენტები, მთები, მდინარეები, ზღვები, ცა, ჰაერი გადანაწილებულია ორ უმთავრეს განზომილებაში – ქალსა და კაცში. აი, როგორია ხელოვნური ინტელექტის ხედვა ამ მარადიული ფასეულობის მისამართით.

ესაუბრა
**ნონა ქარქაშაძე**

პიროვნება

# ვაჟა ადეიშვილი - დიდებული მშენებელი, მოქალაქე, მეგობარი



**საზოგადოება „თბილქალაქმშენის“ პერსონალი გულითადად ულოცავს ამავე საზოგადოების მენეჯერს, ბატონ ვაჟა ადეიშვილს დაბადების დღეს, რომელიც აღინიშნება 8 თებერვალს (დაიბადა 1941 წელს), უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, კეთილდღეობას და სიხარულს მის ლამაზ ოჯახთან ერთად.**

ბატონმა ვაჟამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1959 წელს ქ. თბილისში, ორთქლმავალმშენებელ ქარხანაში, სადაც იმუშავა რამდენიმე წელიწადი რიგით მუშად, ოსტატად და საამქროს უფროსის მოადგილედ.

1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

ენერგიულმა ახალგაზრდამ სწავლის პერიოდშივე თავი გამოიჩინა დაკისრებული მოვალეობის პირნათლად და კეთილსინდისიერად შესრულებით, რაც საფუძველი გახდა მისი შემდგომი დაწინაურებისა.

1967 წლიდან 1980 წლამდე მუშაობდა ქ. თბილისის პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნად და რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

1980-94 წლებში მუშაობდა საქართველოს ყოფილი მშენებლობის სამინისტროს საწარმოო, სამშენებლო გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ უფროსის მოადგილედ. გაერთიანებაში შემავალი ორგანიზაციები ქ. თბილისში აწარმოებდნენ საცხოვრებელი კორპუსების, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ნაგებობების მშენებლობას, საცხოვრებელი მიკრორაიონებისა და კვარტალების კეთილმოწყობას, რომელთა საერთო სიმძლავრე წარმოადგენდა 600-650 ათასი კვ.მ საცხოვრებელი ფართობის ბინების მშენებლობას წელიწადში, რომელსაც ასრულებდა 2500-კაციანი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და 10.000-მდე მაღალკვალიფიციური სხვადასხვა სპეციალობის მუშახელი.

ბინათმშენებლობის ეს სიმძლავრე 100 პროცენტით აკმაყოფილებდა დედაქალაქის მოთხოვნებს.

სწორედ სამშენებლო ინდუსტრიის კადრებით უზრუნველყოფის საკითხს კურირებდა ბატონი ვაჟა ადეიშვილი და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ წარმატებულად.

ყოფილი გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ სააქციო საზოგადოებად რეორგანიზაციის შემდეგ ბატონი ვაჟა 1995 წლიდან დღემდე მუშაობს სს „თბილქალაქმშენის“ მენეჯერად. ის არის ჩინებული, ნაყოფიერი მენეჯერი და საქმის ორგანიზატორი.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ბატონი ვაჟა არის კარგი მეოჯახე, მეუღლე და მამა. სამეგობრო წრეში და სამსახურში სარგებლობს დამსახურებული პატივისცემითა და კეთილი ურთიერთობებით.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ ვაჟას დაბადების დღეს!

**საუკეთესო სურვილებითა და კეთილგანწყობით, თბილქალაქმშენის პერსონალის სახელით**

**თემურ ჯანაშია, ნოდარ თოფურია, ირმა ხარანაული, თანგული ფირცხალავა, რევაზ გუნცაძე**

# ჯარიმა 15 000 ლარის ნაცვლად, იქნება 45 000 ლარი!

## ვის და რა შემთხვევაში შეეხება ეს?

**კულტურული მემკვიდრეობის ზონაში უნებართვო მშენებლობაზე, სარეაბილიტაციო სამუშაოების უნებართვო წარმოებასა თუ კონსერვაციის წესების დარღვევაზე ჯარიმები მკვეთრად იზრდება.**

**„სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილებებით იზრდება ჯარიმები, ასეთ ზონებში როგორც კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, ასევე სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე უნებართვო მშენებლობებზე.**

**კერძოდ, კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე: I კლასის მშენებლობისათვის ჯარიმა 8 000 ლარის ნაცვლად, იქნება 16 000 ლარი; II კლასის მშენებლობისთვის ჯარიმა სამმაგდება და 24 ათასი ლარი იქნება. III და IV კლასის შენობანაგებობაზე განხორციელებული მშენებლობისათვის ჯარიმა ათმაგდება 20 000 ლარის ნაცვლად, იქნება 200 000 ლარი. უფრო მაღალია ჯარიმები სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე უნებართვო მშენებლობასა თუ სხვა სამუშაოებზე და ზოგ შემთხვევაში ჯარიმა 250 000 ლარსაც აღწევს.**

ცვლილება ეხება საკანონმდებლო დებულებებს, რომელთა მიხედვითაც, გარკვეულ შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების უნებართვოდ განხორციელება გამოიწვევს დაჯარიმებას 250 000 ლარის ოდენობით, ხოლო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების უნებართვოდ განხორციელება – 40 000 ლარის ოდენობით.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის ჯარიმები შემდეგი სახით განისაზღვრა:

**I კლასის შემთხვევაში ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით რჩება უცვლელი;**

**II კლასის შემთხვევაში ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით რჩება უცვლელი;**

**III კლასის შემთხვევაში ჯარიმა 10 000 ლარის ნაცვლად, იქნება 30 000 ლარი;**

**IV კლასის შემთხვევაში ჯარიმა 15 000 ლარის ნაცვლად, იქნება 45 000 ლარი.**

იხვეწება საკანონმდებლო დებულებები, რომელთა მიხედვითაც, გარკვეულ შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სანებართვო პირობების დარღვევით სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება გამოიწვევს დაჯარიმებას 150 000 ლარის ოდენობით, ხოლო ანალოგიურ შემთხვევაში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება – 20 000 ლარის ოდენობით.

ცვლილება აგრეთვე, შეეხება, კონსერვაციის მუხლსაც, კერძოდ მშენებლობის 6 თვეზე მეტი ვადით, კონსერვაციის წესის დარღვევით შეჩერება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში გამოიწვევს დაჯარიმებას:

I ან II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისას – 5 000 ლარის ოდენობით (რჩება უცვლელი);

III ან IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისას – 150 000 ლარის ოდენობით.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების კონსერვაციის წესის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 200 000 ლარის ოდენობით, ხოლო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისას – 25 000 ლარის ოდენობით“.



# სერბეთისგან განსხვავებით, ჩვენს ხალხს არ უნდა ეს ოპოზიცია!

დასაწყისი მე-5 გვ.

რამდენიმე ასეული კაცია ამ პერიოდის განმავლობაში დაკავებული, რომელთა ბედიც არავის აღარ აღელვებს. სულ პატარა ბავშვების კისერზე გადაიარა ამათმა მოღალატეობრივმა ქმედებებმა, რაც ახალგაზრდობამ დაინახა და მათ სიგიჟეში აღარ ჰყვებიან. ამდენად, ოპოზიციის ლიდერები იძულებულები არიან, თავად გამოჩნდნენ. როგორც ჩანს, ეს მათ ბაზლში უკვე ძალიან მწვავე საკითხად დგას, რომ ხალხი ზარალდება, აკავებენ, ნაცემია ახალგაზრდობა და ესენი ფულს იკუჭავენ ჯიბეში.

***– სერბეთში მასობრივი და ძალიან მასშტაბური გამოსვლებია. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გადადგა, თუმცა ხალხი მთავრობის სრული შემადგენლობით გადადგომას ითხოვს. ოპოზიცია სერბეთის მაგალითის საქართველოში განმეორებას ცდილობს, მაგრამ არ გამოსდის. რატომ, რა განსხვავებაა საქართველოსა და სერბეთს შორის?***

– პირველი – საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან მაღალი ლეგიტიმაცია მიიღო ქვეყნის მოსახლეობისგან. 26 ოქტომბერს „ოცნებამ“ ქვეყნის შიგნითაც და მის გარეთაც ყველას აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა აქვს. ამ ხნის განმავლობაში არაერთი მცდელობის და წნეხის მიუხედავად, „ოცნებას“ საკუთარი ამომრჩევლის და მხარდამჭერების იმედი არ გაუცრუებია. ძალიან მშვიდად და ნაბიჯ-ნაბიჯ უმკლავდება არნახულ შეტევას. ოპოზიციას ეხმარებოდნენ დასავლეთიდან - ბაიდენის ადმინისტრაციის მხრიდან, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, არნახული შეტევა იყო – სანქციების პაკეტი, რომელიც სრულიად დაუმსახურებლად მიიღო „ოცნებამ“.

მეორე ფაქტორი კი სერბეთისგან განსხვავებით ის არის, რომ ხალხს არ უნდა ეს ოპოზიცია. არა აქვს მათ მიმართ ნდობა. მათთვის მიუღებელია ეს პოლიტიკური ძალები, რომლებიც ამ საპროტესტო მუხტის ავანგარდში არიან. ამიტომ სერბეთში თუკი მსგავს გზის გადაკეტვას და მასობრივ პროტესტს ხალხი შეუერთდა, აქ ასე არაა. პარტიებს საკუთარი ამომრჩეველი ვერ გამოჰყავთ ქუჩაში.

***– ჯერჯერობით ტრამპის და მისი ადმინისტრაციის მხრიდან არანაირი განცხადება საქართველოსთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. ვხედავთ დუმილს ამერიკის ელჩისგან, რომელიც ამ ეტაპზე არ ჩანს. რა ძალებს ეყრდნობა ახლა ოპოზიცია და არის თუ არა ახლა მათი მთავარი მხარდამჭერი ევროპა?***

– რა თქმა უნდა, ამერიკის ელჩი სანამ არ მიიღებს მკაფიო გზავნილს ადმინისტრაციისგან და არ გაიგებს მათ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში, მანამდე დუმილის რეჟიმში იქნება. გვახსოვს ტრამპის წინა პრეზიდენტობის დროს კელი დეგნანი, რომელიც საქართველოში დანიშნეს, შეკრული თმებით, დიდი სანთლებით ეკლესიაში დადიოდა და ხაჭაპურებს აცხობდა. ეს ქალბატონი მაშინ ქართულ ტრადიციებს ისე მოერგო, რომ საბოლოო ჯამში, ვიფიქრე, აქ დარჩებოდა. ვხედავდით მის მიმართ ოპოზიციის ლიდერების არნახულ შეტევას, გვახსოვს ნიკა გვარამის ცნობილი მონოლოგი მის წინააღმდეგ, ასევე – მელიას განცხადებები და არაერთი სხვა პოლიტიკური ლიდერების მწვავე კრიტიკა. თუმცა, როგორც კი ბაიდენი ხელისუფლებაში მოვიდა, მაშინვე გეიაღლუმზე წავიდა და ცისარტყელიანი დროშით დარბოდა აქციაზე. ნუ, მერე საქართველოში რაც დაატრიალა და ბოლოს ოპოზიციონერი ლიდერები რომ მისი დღის წესრიგით მოქმედებდნენ, ყველას გვახსოვს. ამიტომ ახლა ოპოზიციის მთავარი დასაყრდენი ევროპაა. ბრიუსელიდან იღებენ ისინი ისევ დირექტივებს. სამწუხაროდ, ევროკავშირში ეს ლიბერალური ფაშიზმი იმდენად მყარად არის გამჯდარი, რომ ჯერჯერობით რაიმე რადიკალურ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.

***– ფიქრობთ, რომ ოპოზიციას ევროსაბჭოს გადაწყვეტილებამ კარტბლანში მისცა და წააქეზა რადიკალური ქმედებებისკენ?***

– რა თქმა უნდა, ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება ოპოზიციისთვის მოქმედების მწვანე შუქი იყო. ისინი ფიქრობენ, რომ ამით ქართველ ხალხს ქუჩაში გამოიყვანენ, არადა, საკუთარ თავს ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ჩვენმა მოსახლეობამ ამ პერიოდში თეთრის და შავის გარჩევა მარტივად ისწავლა. შესაბამისად, ეს ვერ გახდება იმის მიზეზი, რომ აქ სერბეთის სცენარი განმეორდეს. ჩვენმა ხელისუფლებამ ძალიან კარგად მართა 3 წლის განმავლობაში ეს პროცესები, ახლა კი, როცა ეს ლიბერალური ფაშიზმი ძალას კარგავს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საქართველოში ვერანაირ სახელმწიფო გადატრიალებას ისინი ვერ მოაწყობენ. ხალხი და ხელისუფლება ერთ პოზიციაზე დგას, ასეთ შემთხვევაში კი რა ძალებიც არ უნდა ჩაერიონ, ვერავინ ვერაფერს შეძლებს.

ესაუბრა
**ლიკა ბერიკაშვილი**

საქართველოს რესპუბლიკა




26 მაისი, 2024

## ჰოდა, 26 მაისი 35 წლის წინათ

**ჰოდა, ზუსტად 35 წლის წინანდელი ამბავია, მაგრამ ვინც მოესწრო, მათ ხსოვნაში არასოდეს წაიშლება 1989 წლის 26 მაისი. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ამ თარიღის ზეიმით აღნიშვნას ხელი შეუწყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ, რასაც ქართული ეროვნული სულისკვეთების გადამწყვეტი გამოფხიზლება მოჰყვა.**

ჰოდა, 1989 წლის 26 მაისს გაზეთ „სამშობლოში“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გერბი და ფერადი დროშა გამოვაქვეყნეთ. თუ ემიგრანტულ გამოცემებს არ ჩავთვლით, ამ მხრივ „სამშობლო“ პირველი გაზეთი აღმოჩნდა და მიხარია, რომ ეს ყველაფერი ჩემი ინიციატივითა და რედაქტორობით მოხდა.

ჰოდა, გერბთან და დროშასთან ერთად გაზეთში დაბეჭდილია პროფესორ უშანგი სიდამონიძის განმარტებითი წერილი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკა“. აქვე დაბეჭდილია აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნის ნოტები და ტექსტი, მაშინ პროფესორის, დღეს კი აკადემიკოს იოსებ ჟორდანიას კომენტარით. გარდა ამისა, გაზეთის გაშლილ გვერდებზე გამოვაქვეყნეთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1919 წლის 26 მაისის ნომრიდან გადმობეჭდილი რეპორტაჟი „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება“.

პაატა ნაცვლიშვილი

# ფეისბუქი-2024, რჩეული პოსტები

უბლიკის ჰიმნის ნოტებთან და ტექსტთან ერთად გაზეთში გამოვაქვეყნე ცნობილი ისტორიკოსების – უშანგ სიდამონიძისა და გურამ ყორანაშვილის მონათხრობი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ საერთო სათაურით: „პირველი რესპუბლიკა“.

ჰოდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში ტერმინ „საქართველოს პირველი რესპუბლიკის“ გამოყენების ყველაზე ადრინდელ შემთხვევად მითითებულია გაზეთ „სამშობლოს“ სწორედ ეს – 1989 წლის 26 მაისის ნომერი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გამომავალი პირველი გაზეთი აღმოჩნდა 1920 წლის შემდეგ, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა და გერბი დაიბეჭდა.





ჰოდა, თუ დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ყველგან იყიდება საქართველოს დროშები, მაშინ კი, იმ პირველი დღესასწაულისას, ქართული დროშა ცოტას თუ ჰქონდა და დღესასწაულის ბევრ მონაწილეს ჩვენი გაზეთიდან ამოჭრილი დროშა პატარა ჯოხზე წამოეგო და იმას აფრიალებდა მთელი დღე.

ჰოდა, გაზეთ „სამშობლოს“ ის ნომერი თავიდან ჩვეულებრივი ტირაჟით – 450 ათასი ეგზემპლარი დაიბეჭდა, მაგრამ ერთ დღეში მთლიანად გაიყიდა და მეორე დღეს – არ ვიცი, იყო თუ არა ასეთი შემთხვევა ქართული პრესის ისტორიაში – განმეორებითი ტირაჟიც დავამატეთ, კიდევ 550 ათასი. სულ ერთი მილიონი! ეს სარეკორდო ტირაჟია ქართული პრესის ისტორიაში. დღეს რომ ყველა ქართული გაზეთის ერთი თვის ყველა ნომრის ყველა ეგზემპლარი შევკრიბოთ, ამდენი არ გამოვა, ხოლო მაშინ ყველაზე მრავალტირაჟიანი გაზეთი „კომუნისტი“ 800 ათასი ეგზემპლარად გამოდიოდა, „ახალგაზრდა კომუნისტი“ – 700 ათას ეგზემპლარად.

ჰოდა, გაზეთის ის ნომერი სხვა მხრივაც იყო მნიშვნელოვანი: აქ პირველად გამოჩნდა ტერმინი „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“, რაც ჩემი იდეა იყო და მიხარია, რომ იგი ბოლო 30 წელიწადია, მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჰოდა, გაზეთის პირველსავე გვერდზე სადღესასწაულო ანშლაგთან, დამოუკიდებელი საქართველოს ფერად დროშასთან, შავ-თეთრ გერბთან თუ საქართველოს დემოკრატიული რესპ-

ჰოდა, წინა წელს კი, როცა ჯერ კიდევ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი ვიყავი, 1988 წლის 26 მაისის ნომერში, პირველად 20-იანი წლების შემდეგ ქართულ საბჭოთა პრესაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუბილეს აღნიშვნა მოვახერხეთ. რუბრიკით „ისტორიის ფურცლები“ დავბეჭდეთ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ავთანდილ მენთეშაშვილის სტატია ნეიტრალური სათაურით – „70 წლის წინათ...“ და მაშინ წარმოუდგენელი ქვესათაურით – „1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა“. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მრავალრაუნდიანი მოლაპარაკების შედეგად, შეთანხმებული და აწონილ-დაწონილი იყო ცენზურასთან და პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, რომლებიც იმ წლებში დიდად განსხვავდებოდნენ თავიანთი წინამორბედებისაგან. მაგრამ ამის მიუხედავად, ბევრი ვიბრძოლე იმისათვის, რომ თუ რუბრიკად არა, ქვესათაურად მაინც ყოფილიყო ფრაზა: „26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!“, მაგრამ ამის უფლება – ნურას უკაცრავად! ვერც ის იდეა გავიტანე, რომ სტატიისთვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი დამერთო, რომლის გამოსახულება სახლში, მამაჩემის ბიბლიოთეკაში შემთხვევით თუ საგანგებოდ გადარჩენილ ძველ ჟურნალში მქონდა ნანახი. ასე იყო თუ ისე, ტექსტში 26 მაისი მოხსენიებული იყო, როგორც დღესასწაული. დღესასწაული დღესასწაულად, მაგრამ ეს იმდროინდელ ქართულ პრესაში ნამდვილი ს ა ს წ ა უ ლ ი იყო.

ჰოდა, დღესასწაული მომავალ წელს დადგა.

ჰოდა, მას შემდეგ 35 წელიწადი გავიდა. დღეს 35-ედ აღინიშნა დამოუკიდებააღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. მე პირველი ასეთი დღესასწაულების ერთ-ერთი შემოქმედი და ყველა დანარჩენის მონაწილე ვარ. ჩემი მეორე შვილიშვილი ნიკო კი თავის პირველ 26 მაისს დღეს ჩემთან ერთად შეხვდა.

26 მაისი, 2024.

## ჰოდა, სამი 26 მაისი

**ჰოდა**, სამივე ეს ფოტო 26 მაისს არის გადაღებული. პირველი – 1989 წელს, მეორე – 2021 წელს და მესამე – დღეს. დროშა ერთი და იგივეა. მე და ჩემი მეუღლეც იგივენი ვართ. ჩემს მხრებზე მოკალათებული ბავშვები არიან სხვადასხვა: შვილი და შვილიშვილები.

ჰოდა, პირველი ფოტო იური მეჩითოვმა გადაგვიღო ვაკის პარკის მიდამოებში. მერე, წლების მერე, ის გოგო ჩამოხტა ჩემი მხრებიდან, სადაც რიგრიგობით წამომისკუპა თავისი შვილები და ფოტოებიც მათ პირველ 26-მაისობაზე თვითონვე გადაიღო – ჯერ ერთი, მერე – მეორე.

ჰოდა, ყველანი ერთად გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

26 მაისი, 2024

## ჰოდა, 26 მაისისადმი მიძღვნილი პირველი საფოსტო მარკა

**ჰოდა**, მოხდა ისე, რომ 26 მაისისადმი მიძღვნილი საქართველოს პირველი საფოსტო მარკის დიზაინი საქართველოს საფოსტო ადმინისტრაციამ მე შემიკვეთა. მარკა საქართველოს პირველი რესპუბლიკის 70-ე წლისთავს მიეძღვნა, მაგრამ მიმოქცევაში შვიდი თვის დაგვიანებით – 1998 წლის 25 დეკემბერს შემოვიდა. ეს 80-თეთრიანი მარკა კატალოგში 209-ე ნომრის არის შეტანილი.

ჰოდა, აი, რა წერია ამ მარკის შესახებ საქართველოს საფოსტო მარკების ოფიციალურ კატალოგში:

„1998 წ. 25 დეკემბერი. დამოუკიდებლობის დღე. ავტ. პ. ნაცვლიშვილი. ბეჭდ. ოფსეტური. ქაღ. ცარცის. კბილ. 14. მარკების რაოდენობა ფურცელში 5x4. მარკის ზომა 30x25. 80 თ. მარკაში აღბეჭდილია საქართველოს დროშა და თარიღი 26 მაისი“.



**ბრიტანულ ჟურნალ „ეკონომისტში“ (The Economist) გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „გაიცანით: ევროპელი გოლისტები, ატლანტისტები, დენიალისტები და პუტინისტები“. როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, „თეთრ სახლში დონალდ ტრამპის დაბრუნებამ ძველი დავები გამოაცოცხლა იმაზე, თუ როგორი თავდაცვითი სტრატეგია ჭირდებათ ევროპელებს. შეიძლება გამოვყოთ ოთხი ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი, რომლის წარმომადგენლები ერთმანეთს არ ეთანხმებიან“...**

# გაიცანით: ევროპელი გოლისტები, ატლანტისტები, დენიალისტები და პუტინისტები

The Economist



**წარმოიდგინეთ ასეთი ვითარება: ქვეყანა საკუთარ თავს აშშ-ის მოკავშირედ თვლის, ამ დროს კი თვითონ აშშ-ს მისი ტერიტორიის ნაწილის ხელში ჩაგდება სურს და ამას პირდაპირ აცხადებს! რამდენად არის შესაძლებელი მოკავშირეების ერთმანეთთან მტრობა? თურმე ყველაფერი შეიძლება მოხდეს: 1968 წელს ასეთი კითხვები ებადებოდა სენ-ჟერმენ-დე-პრეს (პარიზის გარეუბნის) ერთ-ერთ კაფეში მჯდარ ფილოსოფოსს, სიგარეტ „გიტანას“ კვამლში გახვეულს... (1966 წელს საფრანგეთის ლიდერმა შარლ დე გოლმა თავის ამერიკელ კოლეგას ლინდონ ჯონსონს წერილი გაუგზავნა და თავისი ქვეყნის ნატოდან გასვლა გამოაცხადა. მომდევნო წელს კი საფრანგეთის ტერიტორიიდან აშშ-ის ჯარების ქვედანაყოფები გააძევა, ალიანსის შტაბბინა კი პარიზიდან ბრიუსელში გადაატანინა იმ მიზეზით, რომ ამერიკა საფრანგეთს – თავის ნატოელ მოკავშირეს – მტერივით ეპყრობა).**

როგორც ბოლო მოვლენები გვაჩვენებს, ასეთი რამ დღესაც სრულიად რეალური შეიძლება იყოს. დონალდ ტრამპი არაერთხელ დაემუქრა დანიის სამეფოს მისი ავტონომიური ნაწილის – კუნძულ გრენლანდიის დაპყრობით და ეს ხდება იმ დროს, როცა ორივე სახელმწიფო ერთმანეთის მოკავშირეა ვაშინგტონის 1949 წლის ხელშეკრულების თანახმად, ნატოს (ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის) შექმნის თაობაზე.

თავდაპირველად ევროპელები საკუთარ თავს იმით არწმუნებდნენ, რომ თეთრ სახლში დაბრუნებული აშშ-ის პრეზიდენტის გეგმები გრენლანდიასთან მიმართებით მეტი არაფერია, თუ არა უბრალო ყბედობა, რომელსაც შეიძლება ყურადღება არ მიაქციო, ისევე როგორც მის ნათქვამს 2020 წელს, რომ კორონავირუსის („კოვიდ-19“) თავიდან აცილება თურმე ჩვეულებრივი მადეზინფიცირებელი ხსნარითაც შეიძლება.

დონალდ ტრამპის მკვეთრი სატელეფონო საუბრის შემდეგ დანიის პრემიერ-მინისტრმა მეტე ფრედერიქსონმა ევროპული ვიზიტები დაიწყო და შეეცადა, პარიზის, ბერლინისა და ბრიუსელის მხარდაჭერა მოეპოვებინა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მას შესთავაზა გრენლანდიაზე ევროკავშირის ქვეყნების ერთობლივი ჯარები გადაესხათ – ისე, ყოველი შემთხვევისათვის. ერთ-ერთმა ევროპელმა დიპლომატმა, ფრანგი ფილოსოფოსის ჟან-პოლ სარტრის მგავსად, გაიხუმრა: „ისეთ მოკავშირეს, როგორიც დონალდ ტრამპია, მტერს არ ვუსურვებ“.

რა თქმა უნდა, ომი აშშ-სა და მის ევროპელ მოკავშირეებს შორის წარმოუდგენელი პერსპექტივაა, მაგრამ თეთრ სახლში დონალდ ტრამპის დაბრუნების შემდეგ ევროპაში ახალი ძალით დაიწყო დებატები თავდაცვის საკითხზე: როგორ შეიძლება ევროპამ თავი დაიცვას აშშ-ის დახმარების გარეშე? კონტინენტის „უსაფრთხოების არქიტექტურის“ გადახედვა, როგორ უყვართ ხოლმე ასეთი გამოთქმა ნატოს წარმომადგენლებს, დღის წესრიგში ჯერ კიდევ სამი წლის წინ დადგა, როცა რუსეთმა სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ. მაგრამ ევროპაში სამხედრო ხარჯების ზრდას ჯერჯერობით ევროპული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის შემუშავება არ მოჰყოლია.

**იმის გასაგებად, თუ როგორი იქნება ევროპის მომავალი კურსი, უნდა გავეცნოთ ევროპელ დეგოლისტებს, ატლანტისტებს, დენიალისტებს (ანუ რეალობის უარმყოფლებს) და ბოლოს პუტინისტებსაც.**

დეგოლისტები, როგორც დასახელებიდან ჩანს, ფრანგი პრეზიდენტის – გულფიცხი შარლ დე გოლის – პოლიტიკური შთამომავლები არიან, რომლებისთვისაც ევროპის მიმართ ამერიკული მფარველობა საძულველია. დღეს ემანუელ მაკრონს სამხედრო ალიანსიდან გამოსვლა არ სურს, მაგრამ გავიხსენოთ, რომ სწორედ მან განაცხადა დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს – „ნატოს ტვინი მოკვდაო“, ამიტომაც ევროპამ „სტრატეგიულ ავტონომიას“ უნდა მიაღწიოს და რიგ საკითხებში დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოს, თუ მისი ინტერესები ოკეანისმიღმა მდებარე მოკავშირის ინტერესებს არ ეთანხმება. გოლისტების აზრით, ვინც არ უნდა მოვიდეს თეთრ სახლში, ამერიკას ევროპის ნაცვლად უკვე სხვა პრიორიტეტები აქვს – აზია – წყნარი ოკეანის რეგიონი. ევროპამ თავი უნდა დაიზღვიოს მოულოდნელობებისგან, ამიტომ, საკუთარი ავტონომიის უზრუნველსაყოფად, უნდა გაიზარდოს ევროპული სამხედრო ბიუჯეტები, მეტი ფული დაიხარჯოს ევროპული იარაღის წარმოებაზე. დეგოლისტები თვლიან, რომ უნდა შეიქმნას ევროპის ერთიანი არმია, თუმცა ეს იდეა ჯერჯერობით ოცნების სფეროს განეკუთვნება.

**1966 წელს საფრანგეთის ლიდერმა შარლ დე გოლმა თავის ამერიკელ კოლეგას ლინდონ ჯონსონს წერილი გაუგზავნა და თავისი ქვეყნის ნატოდან გასვლა გამოაცხადა. მომდევნო წელს კი საფრანგეთის ტერიტორიიდან აშშ-ის ჯარების ქვედანაყოფები გააძევა, ალიანსის შტაბბინა კი პარიზიდან ბრიუსელში გადაატანინა იმ მიზეზით, რომ ამერიკა საფრანგეთს — თავის ნატოელ მოკავშირეს — მტერივით ეპყრობა.**



ატალანტისტები ევროპულ ავტონომიურ მოქმედებას უგუნურობად თვლიან. პოლონეთი მთავარი მედროშეა კლუბისა „ნატო უპირველეს ყოვლისა“, რომელიც თავის რიგებში ჩრდილოეთი და ცენტრალური ევროპის ნატოელი წევრების უმრავლესობას აერთიანებს. ატლანტისტებისათვის უზენაესი პრიორიტეტია აშშ-სთან ურთიერთობის შენარჩუნება. ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ამერიკული იარაღის მიმზიდველობით. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ ამას წინათ განაცხადა: **„აშშ-სა და ევროპის ურთიერთდამოკიდებულება ერთგვარ გარიგებას ჰგავს: „თქვენ გვეხმარებით თავდაცვაში, ჩვენ კი თქვენს იარაღს ვყიდულობთ“.** დონალდ ტრამპის მერკანტილური მიდგომა პრინციპით – „შენ – მე, მე – შენ“ ამ სქემას არანაირად არ არღვევს, პირიქით, რაც მეტია სამხედრო ბიუჯეტი, მით უფრო მეტია შეკვეთები ავიაგამანადგურებელ F-35-ზე და სხვა ტექნიკაზე. ატლანტისტები აღიარებენ, რომ ურთიერთობა აშშ-ის არაპროგნოზირებად პრეზიდენტად იდეალური არ არის, მაგრამ, ამის მიუხდავად, უკეთესია, ვიდრე იმ ევროპელი მოკავშირეებთან დამოკიდებულება, რომლებიც სამხედრო უღონობას უჩივიან. იმ შემთხვევისათვის, თუ რუსეთი უეცრად სამხედრო მოქმედებას დაიწყებს ევროპაში მიმდინარე ათწლეულის ბოლოს, როგორც ამას ზოგიერთი ექსპერტ-პროგნოზისტი წინასწარმეტყველებს, მანამდე ნატოს ბლოკი უნდა გაძლიერდეს და სრულყოფილი უნდა გახდეს და არა რაღაცით ჩანაცვლდეს. ევროპული იარაღის წარმოება და მისი ექსპორტი, რასაკვირველია, გრძელვადიან პერსპექტივაში შესაქებ იდეას წარმოადგენს, მაგრამ უახლოეს მომავალში მხოლოდ გერმანულ და ფრანგული სამხედრო კომპანიების იმედზე უნდა ვიყოთ, რომლებსაც თავიანთი პროდუქციის მოწოდება იმ დროს შეუძლიათ, როცა რუსები ბალტიისპირეთში შევლენ და დაიკავებენ. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, გასაგები მიზეზების გამო, მასთან თანამშრომლობის სქემა რთულია.

დეგოლისტებიც და ატლანტისტებიც ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში, რომ თავდაცვაზე მეტი ფულის ხარჯვა სასარგებლოა. დონალდ ტრამპი ითხოვს, რომ ევროპელებმა თავდაცვაზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2% კი არ უნდა ხარჯონ, არამედ 5%. ალბათ, ნატოს უმაღლესი დონის სამიტზე, ივლისში, ისინი 3,5%-ზე მოილაპარაკებენ.

დენიალისტებისთვის, მესამე ევროპული ბანაკის წარმომადგენლებისთვის, ივლისის სამიტი შეიძლება უხერხულ მომენტად გადაიქცეს. რეალობის უარმყოფელების თავდაცვითი სტრატეგია იმით გამოიხატება, რომ ისინი სირაქლემასავით თავს ქვიშაში ჩაყოფენ. მაშ, სხვა რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ოთხი მსხვილი წევრიდან ორი ქვეყანა – იტალია და ესპანეთი – თავდაცვაზე თავიანთი მშპ-ის მხოლოდ 1,5-ზე ნაკლებ პროცენტს ხარჯავენ?

**დეგოლისტები და ატლანტისტები გაღიზიანებულები არიან დენიალისტების პოლიტიკით, მაგრამ უარმყოფლების პოზიცია მაინც უკეთესია, ვიდრე პუტინისტებისა, რომლებიც ევროპის რამდენიმე ქვეყნის ლიდერების ჯგუფს წარმოადგენს. ისინი მზად არიან ევროკავშირის ანტირუსული გეგმების ჩასაშლელად. ვიქტორ ორბანს, რობერტ ფიცოს და კიდევ რამდენიმე ლიდერს (რომლებსაც ავტორიტარული გამოხტომები ახასიათებთ) სურთ, მაგალითი რუსეთის პრეზიდენტისაგან აიღონ. ვიქტორ ორბანი და მისთანები თავს ტრამპისტებად თვლიან, მაგრამ ამით თავიანთ პუტინისტობას ნიღბავენ. ჯერჯერობით ისინი მცირერიცხოვან ბანაკს წარმოადგენენ, მაგრამ ნელ-ნელა ფართოვდებიან. ყოველ მთგანს შეუძლია, ძირი გამოუთხაროს ევროკავშირის გეგმებს, ანუ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებისთვისაც კონსენსუსი აუცილებელია.**

ყოველი ქვეყნის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ყველა ოთხივე ტიპის პოლიტიკოსთა ფრაქციები არსებობენ (გერმანიის მიკუთვნება რომელიმე პოლიტიკური ბანაკისადმი ჯერჯერობით ძნელია, რადგან იქ 23 თებერვლის შემდეგ ახალი კანცლერი იქნება). ევროპელებმა თავდაცვის საყოველთაო გეგმაზეც რომც მოილაპარაკონ, მათ მაინც მოუწევთ საკმაოდ რთული საკითხის გადაწყვეტა: გეგმა გეგმად, მაგრამ ვინ დააფინანსებს მის განხორციელებას? ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა, რომლებიც ფინანსების დეფიციტს განიცდის, შეიძლება დათანხმდეს სამხედრო ხარჯების ზრდაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსება კოლექტიური სესხის აღებით მოხდება, მაგრამ იმ ქვეყნებს, რომლებიც საგადასახადო-საბიუჯეტო ბალანსის გულმოდგინე დამცველები არიან, ასეთი იდეა არ მოეწონებათ. შესაბამისად, გაჩნდება უთანხმოების ახალი ტალღა, რომლის დარეგულირება უკვე მომდევნო სამიტებზე მოუწევთ.

გადმოაქართულა **სიმონ კილაძემ**

**წყარო: https://www.economist.com/europe/2025/01/30/meet-europes-gaullists-atlanticists-denialists-and-putinists**

**დონალდ ტრამპი წყვეტს აშშ-ის დახმარებას საზღვარგარეთის ქვეყნების მიმართ და „იუესაიდის“ (USAID) – საერთაშორისო განვითარების სააგენტოს – ლიკვიდაციას გეგმავს. „იუესაიდი“ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უკრაინას აქტიურად ეხმარებოდა, ამჟამად კი მისი ვებ-გვერდის ბევრი სეგმენტი უმოქმედოა ან დახურული. ჩინოვნიკები შოკირებულები არიან: სააგენტოს გაუქმება რუსეთისათვის დიდი საჩუქარი იქნება“, – ნათქვამია აშშ-ის გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ (The New York Times) გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „ამერიკელ დემოკრატ-კანონმდებელთა პესიმისტური პროგნოზი: „იუესაიდის“ აღსასრული მალე დადგება“ (ავტორები – კარუნ დემირჯიანი, შირა ფრენკელი, მაიკლ ქროული).**

# იუესაიდის აღსასრული მალე დადგება

The New York Times

**შაბათს, პირველ თებერვალს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ვებ-გვერდი მიუწვდომელი იყო, შემდეგ კი ნაწილობრივ გაიხსნა და გამოქვეყნდა განცხადება, რომ სააგენტოს საქმიანობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია, ხოლო მისი კონტროლისა და მართვის უფლება მთლიანად სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცა.**

აშშ-ის კონგრესის დემოკრატი წევრები და ჰუმანიტარული ორგანიზაციები ჯერ კიდევ პარასკევიდან ელოდნენ დონალდ ტრამპის ბრძანებულებას USAID-ის დახურვის თაობაზე. ყველასთვის ცნობილია, რომ ამერიკის 47-ე პრეზიდენტი არ მალავს თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას უცხო სახელმწიფოების დახმარების მიმართ – დონალდ ტრამპის აზრით, ის, რომ ამერიკა „იუესადის“ მეშვეობით ამერიკელი გადასახადის გადამხდელთა მიერ ბიუჯეტში ჩარიცხულ დოლარებს საზღვარგარეთ გზავნის, ეწინააღმდეგება მის პროგრამას „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“.

შაბათს, იმის გამო, რომ ვაშინგტონში, USAID-ის შტაბ-ბინაში ზოგიერთი აბრა ჩამოიხსნა, გავრცელდა ხმები, რომ სხვადასხვა ქვეყნების პროგრამების ხელმძღვანელებს უკან, აშშ-ში აბრუნებენ, თუმცა ამ ინფორმაციის გადამოწმება დამოუკიდებელი წყაროების მეშვეობით ვერ მოხერხდა.

როგორც USAID-ის ორმა თანამშრომელმა ანონიმურობის დაცვით შეგვატყობინა, ისინი იძულებულნი არიან შიშისა და გაურკვევლობის ატმოსფეროში იმუშაონ. ამ რთულ სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს ის ფაქტი, რომ გასული კვირის დასაწყისში სააგენტოს თანამშრომელთა თითქმის ნახევარი სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ზოგიერთმა წყარომ, რომლებიც სააგენტოს მუშაობის პერსპექტივაში მეტ-ნაკლებად გარკვეულები არიან, განაცხადა, რომ პროგრამების შეკვეცა-გაუქმებაში დიდი როლი სეასრულა პიტ მაროკომ – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკმა, რომელიც დონალდ ტრამპის პირველი ადმინისტრაციის დროს რამდენიმე თანამდებობაზე მუშაობდა.

USAID-ის სამმა თანამშრომელმა, ასევე ანონიმურობის დაცვით, კონფიდენციალურად განაცხადეს, რომ მათი ელექტრონული ფოსტის აქაუნთებზე „ხელოვნური ინტელექტის“ პროგრამა Gemini იქნა დაყენებული, რამაც ეჭვი გამოიწვია იმისა, რომ საქმეში ილონ მასკის სამსახურია ჩართული: იგი აშშ-ის მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს, რომელიც ხარჯების შემცირებით არის დაკავებული. როგორც ჩანს, ილონ მასკის სამსახური „იუესაიდის“ თანამშრომლების საქმიანობას აკონტროლებს.

სახელმწითო დეპარტამენტის ჩინოვნიკებმა „ნიუ-იორკ თაიმსის“ კითხვებს, თუ რა მიზნები აქვთ და რა მოხდება სამომავლოდ, არ უპასუხეს. დემოკრატი-კანონმდებლები და ჰუმანიტარული ორგანიზაციების მუშაკები ეჭვობენ, რომ მარკო რუბიოს უწყების მიზანს, დიდი ალბათობით, საზღვარგარეთის ქვეყნების მიმართ დახმარების მრავალი პროგრამის დახურვა წარმოადგენს. დემოკრატების თქმით, „იუესაიდს“ წინ ბნელი პერსპექტივა ელოდება და, როგორც ჩანს, არ არის გამორიცხული, რომ მალე ფინალი დაუდგება, ანუ საერთოდ დაიხურება.




„ყველა ნიშნის მიხედვით, დიდი ეჭვია, რომ ასე მოხდება: უფროს ხელმძღვანელთა შემადგენლობა შვებულებებში გაუშვეს. ბევრი თანამშრომელი შტანბინაში და ადგილებზე გააფრთხილეს, რომ არსად არაფერი არ თქვან და ხელწერილები დააწერინეს“, – განაცხადა შაბათს ინტერვიუში სენატორმა-დემოკრატმა კრის ქუნსმა დელავერის შტატიდან, რომელიც სენატის კომისიის წევრია საერთაშორისო დახმარების მიზნით ასიგნებათა საკითხებში. – ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს სააგენტოს დახურვის პირველ ეტაპს, ვიდრე მის რეფორმირებას ან უბრალოდ, სახელის შეცვლას“.

**„იუესაიდი“ 1961 წელს შეიქმნა. მართალია, უწყება მითითებებს სახელმწიფო დეპარტამენტიდან იღებდა, თუმცა სრულიად დამოუკიდებლად მუშაობდა. მისი საქმიანობის მთავარი მიმართულებებია უცხო სახელმწიფოების ჯანდაცვის სფეროს დახმარება, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდირება, სიღარიბესთან ბრძოლა და სხვა მრავალი. ის დახმარება, რომელსაც „იუესაიდი“ ანაწილებდა საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის, აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 1%-ს წარმოადგენს.**

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ იანვარში განაცხადა, რომ „იუესაიდის“ ხაზით უცხოეთის ქვეყნების დახმარების ყველა პროგრამა შეჩერებულიაო, თუმცა მოგვიანებით გამონაკლისი გააკეთა სასიცოცხლოდ აუცილებელ ჰუმანიტარულ დახმარებებზე.

კანონმდებლების აზრით, დონალდ ტრამპს არ აქვს იმის უფლებამოსილება, რომ მან „იუესაიდი“ თავისი ბრძანებულებით, ცალმხრივად დახუროს, რადგან უწყება კონგრესის მიერ არის შექმნილი და მის ბიუჯეტს ცალკეულ პროექტებზე კონგრესი ამტკიცებს. მკითხველებს შევახსენებთ, რომ ფედერალური მთავრობის დაფინანსება, „იუესაიდის“ ჩათვლით, 14 მარტამდე გაგრძელდება.

**„დონალდ ტრამპს არ დააკმაყოფილებს უწყების უფლებების ნაწილობრივი შეზღუდვა, პროგრამების დახურვა და პერსონალის შემცირება. იგი სააგენტოს სრულ ლიკვიდაციას გეგმავს“, – ამბობს სენატორი დემოკრატი კრის მერფი კონექტიკუტის შტატიდან, – „მაგრამ უწყების დახურვა უკანონობა იქნება. პრეზიდენტს არ შეუძლია ერთპიროვნულად ფედერალური სააგენტოს ლიკვიდირება მოახდინოს. ასეთი გადაწყვეტილება ანტიკონსტიტუციური იქნება“.**

კანონმდებლები ასევე აცხადებენ, რომ USAID-ის საქმიანობის გაურკვეველი ვადით შეზღუდვა-შემცირებით ისრგებლებენ როგორც ჩინეთი, რუსეთი და ირანი, ასევე აშშ-ის სხვა მოწინააღმდეგეები და არაკეთილმსურველები, რომლებსაც საზღვარგარეთის ქვეყნების სახით ხელში სტრატეგიული პლაცდარმები ჩაუვარდებათ. ბუნებრივია, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს ყველაფერი ზიანს მიაყენებს აშშ-ის უსაფრთხოებას.

„USAID-ის – იმ ორგანიზაციის გაუქმებით, რომელიც ადამიანებს შიმშილის თავიდან აცილებაში ეხმარება, ებრძვის ექსტრემიზმს და ამერიკული ექსპორტის ბაზარს აფართოებს, ამერიკელებისათვის საფრთხე და მუქარები გაიზრდება. „იუესაიდის“ ლიკვიდაცია ნამდვილი საჩუქარი იქნება ჩინეთისა და რუსეთისათვის“, – განაცხადა შაბათს სოციალურ ქსელში სენატორმა-დემოკრატმა ემი კლობუშარმა მინესოტას შტატიდან.

გადმოაქართულა **სიმონ კილაძემ**

**წყარო:** https://www.nytimes.com/2025/02/01/us/us-aid-agency-trump.html?searchResultPosition=1

## გურამ მაჭარაშვილი: „იუესაიდი“ იყო სწორედ ის ორგანიზაცია, საიდანაც შავი ფული რევოლუციებისთვის და არეულობებისთვის არამარტო საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც ირიცხებოდა“!



**„იუესაიდი“ იყო სწორედ ის ორგანიზაცია, საიდანაც შავი ფული რევოლუციებისთვის, არეულობებისთვის არამარტო საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც ირიცხებოდა, – ასე გამოეხმაურა საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „ხალხის ძალა“ თავმჯდომარის მოადგილე გურამ მაჭარაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას საგარეო დაფინანსების 90 დღით შეჩერებაზე.**

მათ შორის საუბარია საერთაშორისო განვითარების სააგენტოზე, რომლის გავლითაც ფინანსური ტრანშები ხშირ შემთხვევაში ქართულ არასამთავრობოებში მოდის.

„მინდა, საზოგადოებას შევახსენო განსაკუთრებით ბოლო 2 წლის განმავლობაში, ჩვენი „ხალხის ძალის“ განცხადებები, რომ საქართველოში ტრიალებდა შავი ფული, ჯერჯერობით ამ დრომდე ნაწილობრივ მაინც ტრიალებს და ამ შავ ფულს სჭირდებოდა რეგულაცია, სწორედ ამიტომ შემოვიტანეთ გამჭვირვალობის კანონი, რომელზეც ამბობდნენ რუსული კანონიაო. ტრამპმა ამ გამჭვირვალობის აღსასრულებლად მიიღო ბრძანება.

„იუესაიდი“ იყო სწორედ ის ორგანიზაცია, საიდანაც შავი ფული რევოლუციებისთვის, არეულობებისთვის არამარტო საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც ირიცხებოდა, აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველი იქნებოდა ის, რომ კონტროლქვეშ მოექცეს, მათ შორის, „იუესაიდის“ მიერ თანხების გადარიცხვა...“

## სად შეხვდებიან ტრამპი და პუტინი?



**რუსული მხარე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და აშშ-ის ლიდერის დონალდ ტრამპის შეხვედრის სავარაუდო ადგილად საუდის არაბეთს ან არაბთა გაერთიანებულ საამიროებს განიხილავს. ინფორმაციას Reuters-ი ორ რუსულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.**

ცნობილია, რომ რამდენიმე კვირის წინ რუსი მაღალჩინოსნები საუდის არაბეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს სტუმრობდნენ.

ერთ-ერთი წყაროს ცნობით, რუსეთში ამ იდეას ჯერ ეწინააღმდეგებიან, ვინაიდან ზოგი დიპლომატი და დაზვერვის თანამშრომელი მიუთითებს იმაზე, რომ ორივე ქვეყნის სამხედროებსა და ძალოვნებს აშშ-თან მჭიდრო კავშირები აქვთ.

საუდის არაბეთისა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს ოფიციალური პასუხი აღნიშნულ საკითხზე არ გამოუხატავთ. კომენტარებისგან თავი შეიკავეს კრემლშიც. თუმცა, როგორც Reuters-ი იუწყება, ტრამპსაც და პუტინსაც მეგობრული ურთიერთობები აქვთ ორივე ქვეყნის მმართველებთან.

## მოჩვენება თუ რეალობა?!

### ვოლოდიმირ ზელენსკი: ჩვენი ხალხი ათწლეულებით უსწრებს აშშ-სა და ევროპას დრონების ტექნოლოგიით და სხვა ინოვაციებით

**ვისურვებდი, რომ მარკო რუბიო უკრაინაში ჩავიდეს. ვფიქრობ, მან ნამდვილად უნდა ნახოს, რა გააკეთა რუსეთმა. მან განაცხადა რომ ომმა უკრაინა ასი წლით უკან დააბრუნა. ვფიქრობ, ეს განცხადება კითხვებს აჩენს, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა.**

როგორც მან აღნიშნა, რუსეთმა დააზიანა უკრაინის ისტორიული მემკვიდრეობა, რომელიც აღდგენის შემდეგაც კი ვერ დაიბრუნებს პირვანდელ სახეს, თუმცა, ზელენსკი მიიჩნევს, რომ უკრაინელი ხალხი მთელ მსოფლიოს, მათ შორის, ამერიკას, უსწრებს დრონების ტექნოლოგიით და სხვა სახის ინოვაციებით.

**„დიახ, რუსეთის სარაკეტო დარტყმებმა დააზიანა ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა და ის აღარასოდეს იქნება იგივე. ყველაფერი ხელახლა აშენდება, მაგრამ თავდაპირველი სახე არ ექნება. რუსეთმა ამაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს, მათ შორის – ფინანსურიც. მაგრამ, გულწრფელად რომ ვთქვათ, ჩვენი ხალხი ათწლეულებით უსწრებს მთელ მსოფლიოს – მათ შორის აშშ-სა და ევროპას – დრონების ტექნოლოგიით და სხვა ინოვაციებით.“** – განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.





# სჯობს გვიან...

**ქართული სპორტის ცოცხალი ლეგენდა ნინო სალუქვაძე პირველი ჭვაროსანია, ვინც გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში შეიყვანეს.**

ეს, ბუნებრივია, ჩვენი სიამაყისათვის უდიდესი პატივი და, არ მოგვერიდება პირუთვნელად განვაცხადოთ, დაგვიანებული აღიარებაა, რასაც ის ფორმულირება ადასტურებს, რომელიც ორგანიზატორებმა მისი ღვაწლის დაფასებას წაუმძღვარეს წინ: პირველი ქართველი, რომელმაც 10 ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა და ტყვიის სროლაში სამივე სინჯის მედალი მოიპოვაო.

ანუ, ოფიციოზის ლოგიკის მიხედვით, რა გამოდის? – ვთქვათ, 9, 8, 7, 6 ან 5 ფორუმის მონაწილე და პრიზიორი არ იმსახურებს მსგავს ჯილდოს?

არა უშავს, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

და კიდევ: სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტს არც ჩინ-მედლები აკლია, არც ქართველი ერის სიყვარული და, რაც მთავარია, მისი შეუპოვარი ხასიათის გათვალისწინებით, არ გაგვიკვირდება, თუ 2028 წელს ხუთრგოლიან ლოს ანჯელესშიც ვიხილავთ ცეცხლის ხაზზე, ან, სავსებით შესაძლებელია, თუნდაც კალიფორნიულ საპატიო კვარცხლბეკზე.

უპირველესად, საფიცარი შეგირდის მიერ დაძლეულ მორიგ სიმაღლეს ვულოცავთ ზეციური საქართველოდან მასზე მლოცველ ბატონ ვახტანგ სალუქვაძეს.

გმადლობთ, ოსტატო!

# სანქციიდან – ფინალში

**უკვე გაუწყეთ, რომ პრესტიჟული პარიზის გრანდ სლემის სტარტზე საქართველოს ძიუდოისტთა დელეგაციას ბრინჯაოს მედალი 66 კილოში ტოკიოს ოლიმპიადის ფინალისტმა ვაჟა მარგველაშვილმა მოუტანა.**

კიდევ უფრო წარმატებით იჭიდავეს ფრანგულ ტატამზე ჭვაროსნებმა ტურნირის მეორე დღეს და ჩვენი ნაკრების კოლექცია ვერცხლით გაამდიდრეს, რაც დისკვალიფიკაციამოხდილი **ლუკა მაისურაძის** დამსახურებაა. იგი 90 კილოს ფინალში კორეელ ჯონგჰუნ კიმთან დამარცხდა.




**14-16 თებერვალს სან ფრანცისკო ნბა-ს ყველა ვარსკვლავის 3-დღიან შოუს უმასპინძლებს, რომლის საერთო საპრიზო ფონდიც 1,8 მილიონი დოლარია.**

# ვაკანსიები შეივსო

სანახაობა ახალი ფორმატით გაიმართება, მის მონაწილეთა სასტარტო ხუთეულები კი კონფერენციების მიხედვით ასე გამოიყურება.

**დასავლეთი**

ლებრონ ჯეიმსი, კევინ დურანტი, ნიკოლა იოკიჩი, სტეფ კარი, შეი გილჯეს-ალექსანდერი.

**აღმოსავლეთი**

ჯეილენ ბრანსონი, დონოვან მიტჩელი, კარლ-ენტონი თაუნსი, ჯეისონ ტეიტუმი, იანის ანტეტოკუნმპო.



# მეტოქის თავსატეხი

**თვენახევარი დარჩა ერთა ლიგის „ბ“ დივიზიონში დასარჩენ პლეი-ოფამდე, საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მომავალი მეტოქე სომხეთის გუნდი კი ისევ უმწვრთნელოდაა და მისი დროებითი თავკაცის ფუნქციას ჯერაც 52 წლის სურენ ჩახალიანი ასრულებს.**

აქამდე გაიჟღერა ესპანელი ლეგენდის **რაულისა** და კარპატელ მარადონად წოდებული რუმინელის **გეორგე ჰაჯის** კანდიდატურებმა, ბოლო ინფორმაციით კი უკრაინელი სპეციალისტის **სერგეი იურანის** ვარიანტიც გაჟღერდა. ცოტაც და...



# გაკვეთილი საბასთვის

**საქართველოს ნაკრების და „ემპოლის“ მცველი საბა გოგლიჩიძე „რომაში“ გადასვლასთან ძალიან ახლოს იყო, თითქოს, ყველაფერი გადაწყვეტილი გახლდათ, მაგრამ ბოლო მომენტში გარიგება ჩაიშალა.**

„რომამ“ „გალათასარაიდან“ ვიქტორ ნელსონის იჯარით დამატება ამჯობინა და ქართველი ისევ „ემპოლიში“ რჩება.

იტალიელი ჟურნალისტი **ნიკოლო სკირა** ბოლო საათებში გოგლიჩიძის ამბავს ასეთი წერილით გამოეხმაურა:

**„საბა გოგლიჩიძის სევდიანი ამბავი: შაბათს საღამოს მისმა აგენტებმა „რომასთან“ 2029 წლამდე კონტრაქტზე შეთანხმებას მიაღწიეს, იმდენად, რომ ქართველმა ცენტრალურმა მცველმა „ემპოლის“ მწვრთნელ რობერტო დ'ავერსას სთხოვა „იუვენტუსთან“ არ ეთამაშა. ისმაილის ტრავმის გამო იძულებული გახდა მოედანზე გასულიყო, მაგრამ კატასტროფული გავლენა იქონია „იუვენტუსის“ მინიმუმ ორ გოლში (განსაკუთრებით, კოლო მუანის 1:1-ის გოლია მის სინდისზე). კვირა**



**საღამოს „რომამ“ უკან დაიხია და გადაწყვიტა აერჩია უფრო იაფი ვარიანტი – ნელსონი. კოშმარული და ნეგატიურად გასახსენებელი კვირა დღე 20 წლის ფეხბურთელისთვის. ცდუნებული და მიტოვებული“,** – წერს სკირა.

შეგახსენებთ, რომ საბა გოგლიჩიძე „ემპოლიში“ 2024 წლის იანვრიდან თამაშობს და მიმდინარე სეზონში სერია A-ში 20 მატჩი ჩაატარა. ფეხბურთელით „იუვენტუსი“, „მილანი“ და „ატალანტაც“ იყვნენ დაინტერესებული.

„რომამ“ გასულ ზაფხულს ორი ცენტრალური მცველის ტრანსფერი ჩაშალა ბოლო მომენტში: კევინ დანსო სამედიცინო შემოწმებაზე ჩააგდო, ხოლო ტიაგო ჯალო რომში ჩაიყვანა, რამდენიმე საათი სასტუმროში ალოდინა და შემდეგ უკან, ტურინის „იუვენტუსში“ დააბრუნა.

# მეშვიდეს ზღურბლთან

**შვეიცარიასთან რეკორდული სხვაობით (110:0) გამარჯვების შემდეგ ბორჯღალოსნები 2025 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე თამაშისთვის ემზადებიან, რომელსაც 8 თებერვალს თბილისში ნიდერლანდების წინააღმდეგ გამართავენ.**



**მსოფლიო რაგბიმ დაასახელა ავსტრალიის ის ქალაქები, რომლებიც 2027 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებას უმასპინძლებენ 1 ოქტომბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით.**

**ეს პატივი წილად ხვდათ მელბურნს, ბრისბენს, ადელაიდას, პერთს, ნიუკასლს, თაუნსვილსა და ფორუმის მთავარ სარბიელს – სიდნეის 83 ათასიან ექორ სთედიუმს, სადაც გაიმართება 2 მეოთხედფინალი, 2 ნახევარფინალი, მატჩი მე-3 ადგილისთვის და ფინალი.**

მატჩი „ავჭალაზე“ 15 საათზე დაიწყება და გამარჯვებით საქართველო ზედიზედ მეშვიდე, 2027 წლის მსოფლიო თასის საგზურს მოიპოვებს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასის მონაწილეთა რაოდენობა 20-იდან 24-მდე გაიზარდა და შესაბამისად, ავსტრალიის საგზურს წლევანდელი რაგბი ევროპის ჩემპიონატის ოთხივე ნახევარფინალისტი მიიღებს.

ნიდერლანდები პირველ ტურში ესპანეთს სტუმრად ეთამაშა და 24:53 დამარცხდა.

მომავალი თამაშის წინ ბორჯღალოსანთა გაფართოებულ შემადგენლობაში ერთი სიახლეა. რაზმს დაემატა ტოპ 14-ის „პოს“ მესამეხაზელი **ბექა გორგაძე,** რომლის ანგარიშზე 47 კეპი და 12 ლელოა.

ნიდერლანდებში პირველი სარაგბო კლუბი ჯერ კიდევ 1879 წელს დაფუძნდა, თუმცა ის მალევე საფეხბურთო კლუბად გადაკეთდა. მეორე მცდელობა 1918 წელს იყო და 1920 წელს რაგბის კავშირიც დაფუძნდა, მაგრამ 3 წლის შემდეგ მან ფუნქციონირება შეწყვიტა და 1932 წელს ახლიდან დაარსდა. საწყის წლებში ნიდერლანდებში რაგბი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, მაგრამ ეს პროცესი მეორე მსოფლიო ომმა შეაჩერა, რის შემდეგაც ქვეყანაში სხვა სპორტის სახეობებმა უფრო დიდი პოპულარობა ჰპოვა. მიუხედავად ამისა, დღევანდელი მონაცემებით ქვეყანაში 100-ზე მეტი კლუბი და 15 ათასამდე მორაგბეა რეგისტრირებული.

ნიდერლანდების ნაკრებმა პირველი სანაკრებო თამაში 1930 წელს ბელგიასთან გამართა და ყველაზე დიდი სხვაობით 1973 წელს დანიასთან გაიმარჯვა (62:0), თავად კი ინგლისთან დამარცხდა (1998 წელს 0:110).

ბორჯღალოსნებს ნიდერლანდების წინააღმდეგ აქამდე 8-ჯერ უთამაშიათ. პირველად მათ ფირას (რაგბი ევროპის წინამორბედი) ეგიდით, 1995 წელს გადავეყარეთ. ეს იყო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი პირველი გასვლა ევროპაში და საქართველო 30-ე წუთისთვის 3:0 იგებდა, თუმცა მერე 9 უპასუხო ლელო გაუშვა – 3:55.

მას შემდეგ მეტოქეს 7-ჯერ ვეთამაშეთ და ყველა ჯერზე უშანსოდ დავამარცხეთ. 2000-2002 წლებში ნიდერლანდებს ერთა თასზე სამჯერ ვერკინეთ და სამივეჯერ ისე მოვიგეთ, ლელო არ გაგვიშვია (41:6, 32:3 და 88:0). ნიდერლანდები რაგბი ევროპის ელიტას 2021 წელსღა დაუბრუნდა და ბოლო ოთხ თამაშში ის ახერხებდა ლელოს გატანას, მაგრამ გამარჯვებული მუდამ საქართველო რჩებოდა (48:15, 72:10, 40:8 და 31:10).

ჯამში ნიდერლანდებთან მოვიგეთ ბოლო 7 და დავთმეთ ერთი, სულ პირველი შეხვედრა, გავიტანეთ 56 ლელო და 355 ქულა, მეტოქემ კი 14 ლელო და 107 ქულა მოიხვეჭა. მსოფლიო რეიტინგში ნიდერლანდები 58,56 ქულით 24-ე ადგილზეა, საქართველო კი 73,85 ქულით მე-12-ე პოზიციაზეა.

# მოწოდების ერთგული



**საუკუნემდე ცოტა დააკლდა სახელოვან ტანმოვარჯიშეს, ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონს გალინა მინაიჩევა-შარაბიძეს.**

**ბალეტით გატაცებულმა მოზარდმა არჩევანი სპორტის საყვარელ სახეობაზე შეაჩერა და ბოლომდე მას უერთგულა.**

**მოსკოვში დაბადებული საქართველოს ჩრდილოელი პატარძალი დაჯილდოებული გახლდათ ღირსების ორდენით.**

**სპორტის დამსახურებულ ოსტატს დავიწყება არ უწერია.**

**„სრ“ სპორტის რედაქცია.**

# ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა გაფართოვდა



**ჯანდაცვის** სამინისტროს ინფორმაციით, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა გაფართოვდა. ბენეფიციარებს სერვისის მიღება, დამატებით, თურქეთის კიდევ სამ კლინიკაში შეეძლებათ – პროგრამას „მედიკანას საერთაშორისო კლინიკა", „ემსი ჰოსპიტალი" და „მედიპოლ მეგა საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი" დაემატა.

პროგრამის ახალ და მანამდე არსებულ პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებში ჯანდაცვის მინისტრი იმყოფებოდა.

მიხეილ სარჯველაძე, თურქეთში მყოფ პატარა ქართველ პაციენტებსა და მათ მშობლებს შეხვდა, ბენეფიციარების მკურნალობის პროცესს გაეცნო და კლინიკებში, მათთვის ხელმისაწვდომი მომსახურებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო.

ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამის ფარგლებში პაციენტები მომსახურებას უკვე 8 კლინიკაში – თურქეთში, ესპანეთსა და ისრაელში მიიღებენ. ახალ პარტნიორ კლინიკებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებები უკვე გაფორმდა.

ამოქმედებიდან დღემდე პროგრამაში 157 ბენეფიციარი ჩაერთო. მკურნალობა უკვე დაასრულა 100-მა პაციენტმა.

## სულთათანა

# მანანა იაშვილი



ჯემალ და გიზო კუხალაშვილები, ვალერი ასათიანი, თამაზ გაბუნია, გივი ჯაფარიძე, გივი აბდუშელიშვილი, გრიგოლ შონია, გიორგი სალუქვაძე, გიზო ბაქანიძე, ომარ კაჭარავა, მერაბ ახობაძე, დავით სალარიძე, გურამ გუნავა, ბაკურ გულუა, მანანა ქაცარავა, კობა გიგაური, გიორგი ბილანიშვილი, თემურ ბერიშვილი, გივი თალაკვაძე, გურამ დიდბარიძე, ნუგზარ კახიშვილი, ბიჭიკო არაბაშვილი, კოტე შენგელია, დავით ერქვანია, ნოდარ გეგეჭკორი

ოჯახებით თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს თემურ თოფურიძეს საყვარელი მეუღლის, კეთილშობილებით, ნიჭიერებით, სათნოებით, სიკეთითა და გულითადობით გამორჩეული პიროვნების

**მანანა იაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**დაკრძალვა ოთხშაბათს, 5 თებერვალს, 15:00; გამოსვენება ვაკის სტუდქალაქის სამების ეკლესიიდან.**

**წერილი რედაქციას**

# გზები, გზები გვინდა!

## ლოგიკური შეკითხვები ინფრასტრუქტურის მინისტრს!

**ბრმა** და ყრუ უნდა იყო, რომ ვერ ამჩნევდე საქართველოში როგორი მშვენიერი გზები კეთდება და ეწყობა. თუმცა, გამოჩნდა პრობლემური მონაკვეთებიც. მაგალითად-სამტრედია გრიგოლეთის გზა მხოლოდ ლანჩხუთამდე მივიდა! რა ხდება, როდის მივა გრიგოლეთამდე?! ისიც თქვეს, ბათუმის შემოვლითი გზა გაკეთებულია, თუმცა ტრანსპორტი მაინც ძველი გზით სარგებლობს. რატომ ვერ ხერხდება, ორსავე შემთხვევაში დასრულდეს ამ გზების მნიშვნელოვანი ნაწილი?!

ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ გვიპასუხოს, როდის დასრულდება ეს. დრო აღარ ითმენს, გზების მშენებლობა უფრო ინტენსიური უნდა იყოს.

გაიზარდა საგზაო გადაზიდვები, ამას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ადასტურებს, ამიტომ ამ გზების დასრულების აქტუალურობა გადადებას არ ექვემდებარება.

**იგორ სახვაძე,**
**ნოდარ არჩვაძე,**
**კობა კობალაძე.**

# წამალი, რომელსაც შეუძლია პანკრეასის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლა!



**ამერიკელმა** მკვლევრებმა შემოგვთავაზეს ახალი მიდგომა, რომელიც დაეხმარება პანკრეასის კიბოს განკურნებას. კერძოდ, მათ შეიმუშავეს მიზანმიმართული ცხვირის მიწოდების მეთოდი, რომელიც იყენებს ინტრავენურად შეყვანილ წამალს WR-2721, რომელიც ასევე ცნობილია როგორც ამიფოსტინი, ამ ტიპის კიბოს მკურნალობის პრობლემების გადასაჭრელად.

პანკრეასის კიბო ძალიან აგრესიულია. ამერიკის კიბოს საზოგადოების მონაცემებით, ეს დაავადება ყოველწლიურად 52000-მდე სიცოცხლეს კლავს შეერთებულ შტატებში.

მისი სიახლოვე სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოებთან, როგორიცაა წვრილი ნაწლავი, ართულებს მკურნალობის სტრატეგიას, რადგან მაღალი დოზებით სხივური თერაპია ხშირად იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მძიმე გართულებებს.

მეცნიერთა ახალი კვლევა ჩატარდა ჯანსაღი ქსოვილის რადიაციული დაზიანებისგან დასაცავად და პაციენტის მკურნალობის შედეგების გაუმჯობესებული მეთოდის მოსაძებნად.

ამიფოსტინი, რომელიც ადრე იყო განხილული, იცავს მიმდებარე ჯანსაღ ქსოვილს სიმსივნეების რადიაციული თერაპიის დროს, მაგრამ მის გამოყენებას აქვს გვერდითი მოვლენები, როგორიცაა გულისრევა და ჰიპოტენზია.

გუნდმა გამოიკვლია, რომ ამიფოსტინის პერორალურ მიღებას შეუძლია შერჩევით დაიცვას კუჭ-ნაწლავის ტრაქტი რადიაციისგან, ხოლო გვერდითი ეფექტების მინიმუმამდე შეამციროს.

„თაგვის მოდელებზე ჩატარებულმა პრეკლინიკურმა კვლევებმა აჩვენა შესანიშნავი შედეგი: თაგვებმა, რომლებიც მკურნალობდნენ ორალური ამიფოსტინით სიმულაციურ სხივურ თერაპიასთან ერთად, 100% გადარჩნენ ათი დღის შემდეგ, ხოლო არანამკურნალევი ცხოველები ვერ გადარჩნენ", – ნათქვამია გამოცემაში.

მეცნიერები თვლიან, რომ ამ ახალ მიდგომას შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს გადარჩენის მაჩვენებლები იმ პაციენტებისთვის, რომლებიც ებრძვიან კიბოს ერთ-ერთ ყველაზე რთულ სახეობას.

## გამოსათხოვარი

# ელგუჯა ბადრიძე



გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, საქართველოს უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, საბჭოთა კავშირის პროკურატურის დამსახურებული მუშაკი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი, ლენინის ორდენოსანი, პროკურორი **ელგუჯა ბადრიძე.**

ბატონმა ელგუჯამ თბილისის 88-ე საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ თბილისის საავეჯო კომბინატში საქმიანობას უთავსებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლას, რომლის დამთავრების შემდეგ სპორტსა და შრომაში გამობრძმედილი, ცხოვრებაში ღრმად ჩახედული რესპუბლიკის პროკურატურაში საერთო ზედამხედველობის პროკურორად იქნა გამწესებული.

ელგუჯა ბადრიძემ 35 წელზე მეტხანს კეთილსინდისიერად იმსახურა ქვეყნის პროკურატურის სისტემაში. განვლო რთული და საინტერესო გზა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, ქალაქ თბილისის პროკურატურაში, ათეული წლების განმავლობაში იყო გორისა და შემდგომ დუშეთის რაიონული პროკურორი. ყველგან, სადაც უმოღვაწია, დატოვა დიდი პატივისცემა, სითბო და სიყვარული . მისმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი მოგვაყენა.

ჩვენს ხსოვნაში ელგუჯა ბადრიძე დარჩება პირველ რიგში კეთილშობილ ადამიანად და იმ ზეციურ სამყაროს მიეახლება, როგორც ქვეყნისა და ოჯახისათვის თავდადებული ღირსეული პიროვნება.

**მალხაზ ბაძაღუა**

**პანაშვიდი: 5 თებერვალს, 4 საათზე; გამოსვენება 6 თებერვალს, ხუთშაბათს, 2 საათზე; მისამართი: წმ. ბარბარეს ეკლესია, გაბრიელ სალოსის 64.**

# უფრთხილდით CO-ს!

## რუსთავი

**რუსთავში,** მეგობრობის გამზირზე ,ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად დედა-შვილი დაიღუპა, სამი არასრულწლოვანი და მათი დედა კი მოიწამლა.

ოთხივე მათგანი სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკაში გადაიყვანა და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

## ცხინვალი

**ქალი** და მისი სამი არასრულწლოვანი შვილი ცხინვალში მხუთავი გაზით (CO) მოიწამლნენ.

ინციდენტი გ. კოჩიევის ქუჩაზე მოხდა. ქალი და ბავშვები საავადმყოფოში არიან მოთავსებულები.

მხუთავი გაზით მოწამვლის დეტალები უცნობია.

# ქართველი მოსწავლეების ფენომენალური მიღწევები

**რატი რატიანი ერთ-ერთია იმ მოსწავლეებს შორის, რომელმაც მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილეობა უკვე მიიღო და ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. პროფესიით მომავალ პროგრამისტს გამოწვევების არ ეშინია, ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის წარმატებაა, რომელსაც ლონდონში გამართულ შეჯიბრში მიაღწია. შედეგები არ უკვირთ პედაგოგებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ქართველი მოსწავლეების წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე ახალ მასშტაბებს აღწევს.**



საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევის მიხედვით, ქართველი მოსწავლეების შედეგები საბუნებისმეტყველო საგნებში გაუმჯობესებულია. 58 ქვეყანას შორის საქართველო 37-ე ადგილზეა და წინ უსწრებს აზერბაიჯანს, ბელგიასა და საფრანგეთს. 2019 წელთან შედარებით, მაჩვენებლები მათემატიკაში 16 ქულით გააუმჯობესეს მეოთხეკლასელებმაც.

TIMSS-ის კვლევაში საქართველო 2007 წლიდან მონაწილეობს. 16 წლის განმავლობაში, ყველაზე კარგი შედეგი ბოლო კვლევაში დაფიქსირდა. განათლების მინისტრი აცხადებს, რომ მზარდი რეიტინგები სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგია.

საქართველო საერთაშორისო ოლიმპიადებში 1993 წლიდან მონაწილეობს და ამ პერიოდის განმავლობაში, ქართველ მოსწავლეებს 16 ოქრო, 58 ვერცხლი და 178 ბრინჯაოს მედალი აქვთ მოპოვებული.

# „თემო რე"-ს როტერდამული ფურორი

**რეჟისორ ანკა გუჯაბიძის ფილმი „თემო რე" ჰოლანდიაში, როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალზე, მოკლემეტრაჟიანი პროგრამის გამარჯვებული გახდა და ამასთან, დაჯილდოვდა ჰოლანდიელი კინოკრიტიკოსების საგანგებო პრემიით.**

„თემო რე" არის მსახიობის და მწერლის თემო რეხვიაშვილის სადებიუტო რომანის „კურიერის ამბების" ეკრანიზაცია, რომელიც ეფუძნება შავ-თეთრი ფოტომონტაჟის ფორმატს და აერთიანებს როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური კინოს ელემენტებს. ამ ტრაგიკომიკური სიუჟეტის ფილმში მთავარ როლს თავად თემო რეხვიაშვილი ასრულებს – მისი პერსონაჟი თემო პროფესიით მსახიობია, თუმცა ხელმოკლეობის გამო კურიერადაც უწევს მუშაობა. თემო ერთი დღის განმავლობაში თბილისში მოპედით გადაადგილდება და საღამოს გარეუბნის ერთ-ერთ თეატრში უფლისწულის როლს თამაშობს ისტორიული შინაარსის სპექტაკლში. დღის განმავლობაში განცდილი და ნანახი სიღარიბის, უსამართლობის, კორუფციისა და გაუცხოების სურათები ღამით თემოს დამზაფვრელ ხილვაში გადაიზრდება.



3 თებერვალს გამართულ დაჯილდოების ცერემონიაზე ფილმის ავტორებმა საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისზეც ილაპარაკეს.

# ავტოფარეხში აღმოჩენილი ვან გოგის შედევრი

**„მეთევზის პორტრეტი" – ასე ეწოდება ნამუშევარს, რომელიც აშშ-ში, მინესოტაში, ანონიმურმა კოლექციონერმა შემთხვევით ავტოფარეხში აღმოაჩინა და სულ რაღაც 50 დოლარად შეიძინა. კოლექციონერმა ნახატი მალევე ხელოვნების ექსპერტებს აჩვენა. ხელწერასა და დეტალებზე დაკვირვებით თითქმის ყველამ ივარაუდა, რომ ნიმუში შესაძლოა ვან გოგს ეკუთვნოდეს. ხანგრძლივი კვლევის შემდეგ ეჭვი გამართლდა.**



კოლექციონერმა ნამუშევარი 2019 წელს შეიძინა. სავარაუდოდ, ტილო ვან გოგმა საფრანგეთში ყოფნის დროს შექმნა. პორტრეტის არსებობის შესახებ ხელოვნებათმცოდნეებმა მხატვრის ჩანაწერებიდან იცოდნენ, მაგრამ ამ დრომდე ნახატი დაკარგულად მიიჩნეოდა.

კვლევითმა კომპანია LMI Group International-მა პორტრეტზე 450-გვერდიანი ანგარიში გამოაქვეყნა. ანალიზისთვის მათ ძირითადად ბოჭკოებისა და პიგმენტების კვლევის ტექნიკა გამოიყენეს. დასკვნა მკაფიოა – მისი ავტორი ვან გოგია და ტილო 15 მილიონ დოლარადაა შეფასებული.



# 280-ზე მეტი მიწისძვრა მოხდა 48 საათში!..

**BBC-ის ინფორმაციით, კუნძულ სანტორინისთან 48 საათის განმავლობაში 280-ზე მეტი მიწისძვრა დადასტურდა.**

ძლიერი სეისმოლოგიური აქტივობის გამო, სკოლები დაიხურა, ხელისუფლებამ კი მოსახლეობას დახურულ სივრცეებში თავშეყრისგან თავის შეკავება ურჩია.

საბერძნეთის პრემიერის განცხადებით, ქვეყანა „ძალიან ინტენსიური გეოლოგიური ფენომენის" მართვაზე მუშაობს.

# ერთ-ერთი კონტინენტი ორჯერ უფრო სწრაფად იშლება!

**აფრიკის კონტინენტი უფრო სწრაფად იშლება, ვიდრე ადრე ეგონათ. მეცნიერთა აზრით, ეთიოპიის უდაბნოში 56 კმ სიგრძის ბზარი გაჩნდა 2005 წელს და მას შემდეგ ის წელიწადში სანტიმეტრზე მეტი სიჩქარით ფართოვდება.**

ოკეანე შეიძლება გახდეს ისეთივე ღრმა, როგორც ატლანტის ოკეანე, თუ წყლები ამ რეგიონში ჩამოსვლას განაგრძობენ.

აფრიკის რეგიონში არის ორი ტექტონიკური ფირფიტა – სომალიური და ნუბიური, რომლებიც



**მკვლევრები ადრე ფიქრობდნენ, რომ გაყოფას ათობით მილიონი წელი დასჭირდებოდა, მაგრამ ახლა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა კენ მაკდონალდმა განაცხადა, რომ ეს მოხდება ბევრად უფრო ადრე – ერთიდან ხუთ მილიონ წელიწადში. განხეთქილება დედამიწაზე ახალ ოკეანესა და კონტინენტს შექმნის.**

**„შეიძლება ისე მოხდეს, რომ ინდოეთის ოკეანის წყალმა დატბოროს ის, რაც ახლა არის აღმოსავლეთ აფრიკის რიფტის ველი", –** თქვა მაკდონალდმა.

მეცნიერმა დასძინა, რომ ახალი აქტიურად შორდებიან ერთმანეთს. დაყოფა სათავეს იღებს აღმოსავლეთ აფრიკის რიფტის სისტემიდან, 3200 კმ სიგრძის რღვევიდან, რომელიც ჩამოყალიბდა სულ მცირე 22 მილიონი წლის წინ, სადაც მდებარეობს კონტინენტის დიდი ტბები. 2018 წელს ძლიერი წვიმის შემდეგ კენიაშიც უფსკრული გაჩნდა.

**„ტბები ჩამოყალიბდა იმიტომ, რომ აღმოსავლეთ აფრიკა გამოეყო დანარჩენ კონტინენტს. ეს სომალის ფირფიტა აგრძელებს მოძრაობას კიდევ უფრო აღმოსავლეთისკენ, ქმნის გიგანტურ რიფ ველს", –** განაცხადეს მეცნიერებმა.

# გამოვლინდა ასაკი, რომლის შემდეგაც იწყება ტვინის დაბერება

**გონებრივი პროცესების თვალსაზრისით, დაბერების პროცესის დასაწყისი აღინიშნება 25-დან 35 წლამდე ასაკში.**

ასაკთან ერთად ტვინის მოცულობა თანდათან მცირდება, განსაკუთრებით შუბლისა და საფეთქლის წილებში, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მაღალ ფსიქიკურ ფუნქციებზე, როგორიცაა დაგეგმვა, გადაწყვეტილების მიღება და მეხსიერება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანში ნეირონების რაოდენობა გარკვეულ ასაკამდე შედარებით სტაბილური რჩება, ტვინი დაბერებისას თანდათან კარგავს მათ.

ეს გამოწვეულია დაბერების ბუნებრივი პროცესებით და შეიძლება გამწვავდეს ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა სტრესი, ფიზიკური აქტივობის ნაკლებობა და ავადმყოფობა.

თეთრი ნივთიერება, რომელიც შედგება მიელინირებული აქსონებისაგან, რომლებიც აკავშირებენ ნერვულ უჯრედებს და უზრუნველყოფენ მათ შორის სიგნალის გადაცემას, ასევე განიცდის ცვლილებებს. ასაკთან ერთად მიელინი მცირდება და სინაფსური კავშირების რაოდენობა (აქსონების შეხების წერტილები სხვა ნეირონებთან) მცირდება, რაც ამცირებს ნეირონებს შორის სიგნალის გადაცემის სიჩქარეს და სიზუსტეს.

ტვინის ვარჯიშის მრავალი მეთოდი არსებობს, მათ შორის წიგნების კითხვა, თავსატეხების ამოხსნა და კომპიუტერული აპლიკაციების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტერაქტიულ გამოწვევებს.

11 პროდუქტი, რომლის მიღებაც შეაფერხებს დემენციის პროცესების განვითარებას:

**მსხალი, ზეითუნის ზეთი, ღვინო (მხოლოდ მცირე რაოდენობით და წითელი), პომიდვრის საწებელი, სალათის ფურცლები, პარკოსნები, ჩაი, ისპანახი, ბროკოლი, ფორთოხალი...**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 7 თებერვალს**